

# კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14').

№ 3-10

მ ა რ ტ ი 1038

№ 3-10

## უ ნ ა ა რ ს ი :

- ჰ. ბამბატ — თურქიზმი, თურქეთი და კავკასია
- ვ. ახმეტელი — ბერლინ - რომის ღერძის გარშემო
- ზ. ავალიშვილი — იმავე საკითხის გამო
- გ. კვინიტაძე — ერთი „ინტერვიუს“ გამო
- გ. ღიასამიძე — ირრიდენტას გარშემო
- ვ. ემუხვარი — ჩემს ბრალმდებელთ
- ე. ინსაბატო — თურქ-თათართა გამოღვიძება
- ვ. სადათიერაშვილი — მენშევიკური პროვოკაცია (წერილი რომიდან)
- \*\* — „საპროტესტო რეზოლუციები“ (წერილი სოზოდან)

## თურქიზმი, თურქეთი და კავკასია

მეგობრებმა, რომლებიც თურქეთში გვეყანან, ჩვენი ყურადღება მიაქციეს ორ წერილს, რომელიც სტამბულის გაზეთ „სონ - პოსტშია“ დაბეჭდილი.

ეს ორი წერილი, რომლის სრული თარგმანი „კავკაზი“<sup>ს</sup> პრესის მიმოხილვაშია დაბეჭდილი (იხ. № 1/49 1938 წ.) ეკუთვნის ცნობილი თურქი ჟურნალისტის მუხიტტინ ბირგენის კალამს. „კავკაზი“<sup>ს</sup> მკითხველთათვის ბ-ნი ბირგენის სახელი უცნობი არ არის. ა. კანტემირის კორესპონდენციაში: „თურქეთი და აზერბეიჯანი“, რომელიც ჩვენი ჟუ-



რნალის №47-ეში იყო დაბეჭდილი (ნოემბერი 1937 წ.), ფართე ამონა-  
წერები იყო მოყვანილი იმ წერილებიდან, რომლებიც ბ. ბირგენმა  
ღვნა „გაერთიანებისა და პროგრესის“ პარტიის ისტორიას, კერძოდ კი  
„ამ პარტიის ლიდერების თალაათის, ენვერის და ჯემალ ფაშების ლტო-  
ლვას, მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას საზღვარ გარეთ.“ ამ წერილე-  
ბში ცოტა ადგილი არა ჰქონდა დათმობილი კავკასიის რესპუბლიკებს და  
განსაკუთრებით აზერბეიჯანს, სადაც ავტორმა რამდენიმე წელი დაჰ-  
ყო და რომლისადმი განსაკუთრებულ სიმპატიას გრძნობს.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ბ. ბირგენმა პირველად გაუსვა ხაზი თურ-  
ქულ პრესაში აზერბეიჯანის თურქობის განსაკუთრებულ ხასიათს, რო-  
მელიც მისი აზრით, „ისტორიულის და პოლიტიკურის თვალსაზრისით  
სრულიად განსაკუთრებულ ქვეყანას წარმოადგენს“.

ბ. ბირგენი იგონებს თუ როგორ სურდა თურქეთს, რომ დიდი ომის  
პროცესში, კავკასია და აზერბეიჯანი თავის მფარველობაში აეყვანა,  
მაგრამ დიდათ გაგებულნი თურქი პუბლიცისტი, რომელიც იმ დროს ახ-  
ლო უდგა უტომანთა მმართველ წრეებს, დასძენს, რომ ასეთი პოლიტი-  
კა თვით აზერბეიჯანის მიერ იყო უარყოფილი“ო.

ამ ამბავს ბ. ბირგენი ასე განგვიმარტავს: „ამას ბევრი თავისი მიზე-  
ზი ჰქონდა: პირველი — თუმცა აზერბეიჯანში მოსახლეობა თურქუ-  
ლია, მაგრამ მასში სჭარბობს კავკასიური შეგნება და ახალის კულტუ-  
რით აზერბეიჯანული მასები უფრო ღრმად არიან გამსჭვალული, ვიდ-  
რე ჩვენი ხალხის მასები; ხოლო მეორე: კავკასიაში მარტო აზერბეიჯა-  
ნი არ არსებობს; აზერბეიჯანის ცხოვრება მჭიდროდ დაფუძნებული არის გა-  
დაწნული ერთი მხრით დაღესტანთან (ანუ ჩრდილო კავკასიასთან) მე-  
ორეთი — საქართველოსთან“ო..

ავტორის ასეთი ცოდნას და დაკვირვებით ნიჭს, თავის დროზედ,  
ჩვენ ჯეროვანი ვაგეთ, თუმცა, გულახდილად რომ ვსთქვათ, ცოტა გა-  
ოცებულნი დავრჩით იმ დასკვნებით, რომლებიც მან აქედან გამოიყვანა.

ეს დასკვნა, რომელიც ამასთანავე ძირიანად ეწინააღმდეგებოდა  
მის საკუთარ ანალიზს, ჩამოხურდავდა იქამდის, რომ კავკასია თურმე  
ცოტა დინჯად უნდა იქცეოდეს საბჭოთა მთავრობის მიმართ და თუ კი  
მოსკოვი „აზერბეიჯანის თურქებს მათი ეროვნული კულტურის განვი-  
თარების შესაძლებლობას მისცემს, ეს საკმაო იქნება, რომ ოპიზიცია  
მოსპონ“ო.

საბჭოებისათვის ასეთ ხელსაყრელ დასკვნაზედ შეჩერება ფასად არა  
ღირდა. პატივცემულ პუბლიცისტის პოლიტიკურ განმჭვრეტელობას ეს  
ვერაფერსა სძენს. ჩვენ უფრო იმ მოსაზრებისაკენ ვიხრებით, რომ ეს  
აზრი ნაკარნახევია უფრო უცხო დიპლომატიურ მოსაზრებით, ვიდრე  
ავტორის უნიჭობით, რომ საკუთარ დებულებისათვის შესაფერი დას-  
კვნა გაეკეთებინა.

\*\*\*

ბ. ბირგენის წერილებში, რომლებშიც, კავკასიის პოლიტიკური სი-



ნამდვილის უცოდინარი თურქული მკითხველი საზოგადოებისათვის უცილოდ დიდათ საყურადღებონი არიან, ჩვენ, კავკასიელებს, უმთავრესად ის ადგილები გვაინტერესებს, სადაც ავტორი თურქული პოლიტიკური წრეების კავკასიური პრობლემისადმი დამოკიდებულებაზედ ლაპარაკობს. ჩვენ არ ვიცით რამდენად კვალიფიციური პიროვნებაა „სონ პოსტის“ რედაქტორი, რომ ანკარის მმართველ წრეების აზრი გამოხატოს, მაგრამ მისი ნათელი და ჩამოსხმული ფორმულები თურქეთ-კავკასიის დამოკიდებულებათა შესახებ, სავსე არიან ცხოველის ინტერესით და ჩვენ არ შეგვიძლიან თავი შევიკავოთ, რომ ზოგი მისი შეხედულება აქაც არ გავიმეოროთ.

„თურქეთს კარგად ესმის, სწერს ბატონი ბირგენი, რომ არ არსებობს არავითარი შესაძლებლობა, რომ აზერბეიჯანს იგი პოლიტიკურის გაერთიანებით გადაებას. ამაზედ ფიქრი პირდაპირ უგუნურობაა. ახალი თურქეთი იმპერიალისტური არ არის. ასეთი პოზიციის მიზეზები თვით ათათურქმა განმარტა: ოსმალეთია სახელმწიფო, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ნაშობი, რომელიც მუდამ აფერხებდა მის განვითარებას. თურქეთი თავის პოლიტიკას აფუძნებს ერთა შორის თანასწორობის, ნდობისა და პატივისცემის პრინციპებზედ.. თურქეთის ახალი იდეალია პატრიოტიზმი და მშვიდობიანი ცხოვრება ეროვნულ საზღვრების ჩარჩოში. ამ მოსაზრებათა ძალით, თურქეთს არა აქვს აზერბეიჯანის მიმართ იმპერიალისტური ხასიათის ეროვნული მიდრეკილება. თურქეთის მრთად ერთი სურვილია, რომ აზერბეიჯანი დამოუკიდებელი იყოს, კულტურულად აყვავდეს და შეინარჩუნოს თავისი ეროვნული ყოფა, როგორც თურქულმა ტომმა“ (ხაზი გასმულია ჩვენ მიერ. 3. ბ.)

ამ მარტივი და წონიანი სიტყვების თქმა სასარგებლო იყო. ნათქვამია ამასთანავე დროზედ. იქნება ამან ზოგი რამ დამშვიდება მაინც შეიტანოს კავკასიურ ემიგრაციის იმ ნაწილში, რომლებსაც უკანასკნელ დროში, ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გულდასმით ჩასჩიჩინებენ „ოსმალეთის საფრთხის“ შესახებ.

მაგრამ გადავიდეთ წერილზედ: „პანთურქისტები უცხონი თურქიზმისათვის“ და „თურქიზმი თურქეთის გარეშე“, რომლებმაც გამოიწვიეს ასეთი მძლავრი და უნდა ითქვას, სრულიად სამართლიანი გულისწყრომა კავკასიურ და თურქესტნულ ემიგრაციაში თურქეთში.

პირველ დასახელებულ წერილში მოთხრობილია ის ამბავი, თითქოს „უკანასკნელ დროში მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში წარმოიშვა პანთურანიზმი, რომელიც კაცს ძალიან ეჩხირება თვალში“ (ო. ბ. ბირგენი ასახელებს კიდევაც მსოფლიოს ამ ნაწილებს. ესენი არიან იაპონია, გერმანია და პოლონეთი.

თუ იაპონიის საქციელში, რომელიც აზიის ერთა თავისუფლებათა მეთაურის სახით გამოდის და თავის დროშაზედ უწერია ლოზუნგი: — აზია აზიელთათვის“, კიდევ შესაძლებელია კაცმა რასიული პოლიტიკის ნასახი დაინახოს, სამაგიეროდ შეუძლებელია ვინმეს მართლა მოუ-





ვიდეს ფიქრად, რომ გერმანიის და პოლონეთის ცნობილი პოლიტიკური წრეების სიმპატიებს რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებისადმი პანთურქული იდეოლოგიისა რამე სცხიათ.

გამჭვრიატმა პოლიტიკურმა მიმომხილველმა ბ. ბირგენმა მშვენივრად უწყის, რომ სიმართლე მხოლოდ ის არის, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, რომელთა რიცხვი დვთის მადლით ყოველ დღე მატულობს — მართლა არსებობენ წრეები, რომლებიც საფუძვლიანად ფიქრობენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ეროვნულ პრობლემების სამართლიანი გადაჭრისა და მოსკოვის მიერ დამონებულ ერთა განთავისუფლების გარეშე, ვერ იარსებებს ვერც მტკიცე მსოფლიო წონასწორობა, ვერც ამ სახელმწიფოთა საზღვართა დაცულობა.

აქედან გამომდინარეობს ის ყურადღებაც, რომელიც არსებობს ამ არა მარტო ბ. ბირგენის მიერ დასახელებულ თურქულ ერებისადმი, არამედ რუსეთის მიერ დაპყრობილ ყველა ერისადმი, რომელთაც თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით შეუძლიანთ დამოუკიდებლობის საფუძვლიანი პრეტენზიები ჰქონდეთ. სხვათა შორის, ევროპიულ პრესაში უფრო ხშირად ისმის უკრაინის, საქართველოს და სომხეთის სახელები, ვიდრე აზერბეიჯანის, კაზახსტანის, თურქესტანის და სხვათა სახელები.

ეს ცნობილია საზოგადოთ და გაუგებარია რისთვის დასჭირდა ბ. ბირგენს სადად და მკაფიოდ დაყენებული საკითხი იდეოლოგიურ ბურუსით შემოსოს?

იმიტომ ხომ არა, რომ „თვალში მაჩხირალი პანთურქიზმის“ გამოგონებით იქ, სადაც ბუნებრივად შეუძლებელია რომ ის არსებობდეს, გერანიას და პოლონეთს ბრალდება წეუყენოს, რომ ისინი მისდევენ „**არა იმდენად თურქულ ერებისადმი გულწრფელ სიმპატიებს, რამდენათაც სურვილს რომ რუსეთი შეასუსტონ**“?

მაგრამ განა რუსეთის შესუსტების სურვილი დამონებულ ხალხთა ეროვნულ ინტერესებს არ ემსახურება და მათი განთავისუფლების კონდიციო სინე ქვა ნონ არ არის? მაშ როგორ აქვს წარმოდგენილი ბ. ბირგენს მათი განთავისუფლების საქმე თუ არა ამ შესუსტებით?

რა თქმა უნდა, დიდი სახელმწიფონი, რომლებიც რუსეთის შესუსტებას მის ტერიტორიაზედ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნით სცდილობენ, ხელმძღვანელობენ არა პლატონიური მისწრაფებით, არამედ საკუთარი ეგოისტური სარგებლიანობის ანგარიშით!

მაგრამ ჩვენც სწორედ ეს გვახარებს. სწორედ ეს ეგოისტური დაინტერესებაა მთავარი ჩვენი ნუგეში ამ გარეშე ძალებში და საგრძნობი გარანტია იმისა, ჩვენმა მართალმა საქმემ ახლო მომავალში უნდა გაიმარჯვოს.

გამოცდილებით გაბრძნილმა ჩვენმა მეგობარმა სხვაზედ უკეთესად იცის, რომ საერთაშორისო დამოკიდებულებაში „ლამაზი თვალებისათვის“ არაფერი კეთდება. ყველა სახელმწიფოთა პრაქტიკული პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა და მათ შორის ისეთებისაც, რომლებიც



ქლესა ენევეური სიტყვიერებით ირეცხავენ ყელს — სასტიკი ეროვნული ეგოიზმია.

ასეთი დღევანდელი საერთაშორისო კანონი ყველასათვის სავალდებულოა. ხალისით მისდევს მას თვით ბ. ბირგენიც, როდესაც მასა სურს ოსმალეთის დამოკიდებულება მეზობლებთან და კერძოდ კავკასიასთან, დააფუძნოს არა იდეოლოგიურ თავსართებზედ, არამედ თავისი ქვეყნის რეალურ ინტერესებზედ.

ჩვენ შორსა ვართ იმისაგან, რომ ამის გამო ბ. ბირგენს რაიმე საყვედური უთხრათ.

ჩვენ გულახდილად ვაღიარებთ, რომ კაცობრიობის დღევანდელ კულტურულ დონეზედ, სხვა უკეთესი დუღაბი საერთაშორისო კავშირებისათვის არ არსებობს. და ჩვენ გვგონია, რომ მრავალ მილიონიან დამონებულ თურქთა ეროვნულ იდეალის ასეთ შეხვედრას აღმოსავლეთ ევროპაში და შუა აზიაში, ზოგ უფრო დინამიურ დიდ სახელმწიფოების ინტერესთან ბ. ბირგენისათვის, პირიქით მორალური დაკმაყოფილება უნდა მოეტანა.

მაგრამ „სონ პოსტის“ დიდათ პატივცემული რედაქტორი ვერაფერ სიამოვნებას ვერ გრძნობს. პირიქით, იგი დიდათ შეწუხებულია და თავის შიშს არა მალავს.


პუბლიცისტი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ასეთის მჭერმეტყველობით გვიდასტურებდა, რომ „აზერბეიჯანის თურქული მასები უფრო ღრმად არიან კულტურით გამსჭვალული ვიდრე ჩვენი მასები“ო, დღეს მოულოდნელად აცხადებს, რომ „ეს მხარეები, ჩვენს დროში ჯერ კიდევ მოუმწიფებელია დამოუკიდებელი ეროვნული არსებობისათვის, და როგორც საბოლოოდ განწირულნი იმათ საკუთრებად უნდა დარჩნენ ვინც მათ დამოუკიდებლობას აძლევს და მაშასადამე ვერ განთავისუფლდებიან მისი გავლენისაგან და ბატონობისაგან“ო.

ასეთი, არ ვიცით, რითი გამოწვეული, მაგრამ ღირებულებათა რადიკალური გადაფასება, ბ. ბირგენს უფლებას აძლევს სთქვას შემდეგ, რომ „უფრო გონივრულია, რომ თურქებმა ისტორიის რეალურ ფაქტების წინაშე ქედი მოიხარონ და ასეთი რეალობის პირობებში სცადონ თავისთვის უკეთესი ცხოვრება მოიპოვონ“ო.

ეს მაღალფარდოვანი ფრაზა რომ ჩვენებურის ენითა ვსთარგმნოთ, ნიშნავს, რომ აზერბეიჯანის თურქებმა და მათთან განუყრელად დაკავშირებულმა კავკასიის ერებმა, რომლებიც რუსეთის უღელს ატარებენ, „ისტორიის ამ რეალურ ფაქტების“ წინაშე თავი უნდა მოიხარონ, ეროვნულ დამოუკიდებლობაზედ ხელი აიღონ და თავის ბატონებთან საერთოდ ენა გამონახონ...

პრობლემატიური შიშის გამო გერმანიისა, იაპონიისა და პოლონეთის წინაშე, რომლებიც შეუძლებელია რომ გეოგრაფიულად კავკასიაში არსებობდნენ, ბ. ბირგენი ურჩევს კავკასიის ერებს შეურიგდნენ სისხლიანი ტირანიის ქვეყანას, რომელიც არა მარტო ამყოფებს მონობაში ჩვენს სამშობლოს, არამედ გამუდმებით მუჟიკური ტალღებით წა-





ლეკვასაც უპირებს... თურქის ცნობილ პუბლიცისტს „ეტყობა, თავში-  
აც არ მოსდის ის აზრი, რომ სულ რაღაცა ოცდაათი წლის განმავლო-  
ბაში და იქნება უფრო ადრეც, კავკასიის სრული წალეკვის შემდეგ, ეს  
ტალღები ანატოლიის ფართო სივრცეებზედაც გადინადირებენ...

ასეთია „სონ პოსტის“ რედაქტორის „მეგობრული“ რჩევა კავკა-  
სიის ერებისადმი.

ბ. ბირგენი, სჩანს, გულწრფელად გაოცდება, თუ ასეთი რჩევის გა-  
მო კავკასიელებისაგან გაიგონებს: „გვაშორე, ღმერთო, ასეთი მეგობა-  
რი, მტერს როგორმე ჩვენ თითონ გაუმასპინძლდებით“ ო.

\*\*

საბჭოთა კავშირის თურქებს ბ-ნი ბირგენი „პანთურქიზმისათვის  
უცხო“ სახელმწიფოების ეგოისტურ მიზნებისაგან აფრთხილებს და ას-  
წავლის, რომ „თურქები მოვალენი არიან თითონ ეცემოდნენ და თითო-  
ნვე დგებოდნენ“ ო. გარეშე ძალები თურმე არ უნდა მიეშელონ, ვინა-  
იდგან... „ამას გვიბრძანებენ ბუნებრივ განვითარების კანონები, რომ-  
ლებსაც ერები ემორჩილებიანო“ ო.

ნათქვამი ამაყად არის, მაგრამ ყვლა შეატყობს, რომ ამ იაფი და  
თეატრალური შუშხუნის იქით... ფუყე ადგილი იმალება. „სონ პოსტის“  
რედაქტორის მიერ დადგენილი „ერთა ბუნებრივი განვითარების“ კა-  
ნონი ისტორიულ ფაქტებს ეწინააღმდეგება...

შორეულ დროებს რომ ხელი ვუშვათ, ორი უკანასკნელი საუკუნის  
ამბებიც კმარა. ამ ხნის განმავლობაში მრავალმა დიდმა და პატარა ერ-  
მა გაინთავისუფლა თავი და დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მაგრამ შვეციისა და ნორვეგიის მაგალითს გარდა, ჩვენ არ ვიცით  
სხვა შემთხვევა, როცა ერები „ეცემოდნენ“, როგორც ბრძანებს ბ. ბი-  
რგენი და გარეშე ძალის დაუხმარებლად „სდგებოდნენ“.

მოყოლებული ჩრდილო - ამერიკის შტატებით, რომელსაც დაქა-  
ნებულმა საფრანგეთის მონარქიამ დიდი დახმარება აღმოუჩინა, არა,  
რა თქმა უნდა პლატონიური სიყვარულის გამო, არამედ პოლიტიკური  
მეტოქეობის მოსაზრებით ინგლისისადმი და გათავებული იმ სახელმწი-  
ფოებით, რომლებიც დიდი ომის დროს კვლავ აღსდგნენ, ან პირველად  
შეიქნენ — თავისი ეროვნული იდეალი ყველამ მხოლოდ გარეშე ძალ-  
თა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური დახმარებით განახორცი-  
ელა.

დეე, ბ. ბირგენმა, რომელმაც ოსმალეთის ისტორიის ამბები კარ-  
გად უნდა იცოდეს, მოიგონოს რა გარემოებაში და ფაქტორების გავ-  
ლენით შეუდგნენ თავის სახელმწიფო ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუ-  
ნეში ის ერები, რომლებიც ოტომანთა იმპერიაში შედიოდნენ...

პატივცემული პუბლიცისტი უნდა დაგვეთანხმოს, რომ არც ერთი  
ამ ერთაგანი არ განიცდის დღეს არც ბატონობას და არც განსაკუთრე-  
ბულ გავლენას იმ სახელმწიფოებისას, რომლებმაც მათ აღორძინებას  
ხელი შეუწყეს.



რაც შეეხება იმას, ვითომც თურქი ერებისთვის უკადრისი იქნებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში უცხო ძალა მოეხმარათ, ნება უნდა გვქონდეს, პატივცემულ თურქის პუბლიცისტს შევეკითხოთ: — სად იქნებოდა დღეს თურქეთი, თუ მსგავსად ჩინებული რჩევისა, რომელსაც იგი მის სამშობლოს გარეშე მცხოვრებ თურქის ერებს აძლევს, „თავს მოიხრიდა ისტორიის ისეთი რეალური ფაქტების წინაშე“, როგორც იყო, მაგალითად სევრის ხელშეკრულება და დამად ფერიდ ფაშის მსგავსად „ბედის გამოსწორების საქმეს ამ რეალობის პირობებში“ შეუდგებოდა.

თურქეთის ახლო წარსულის ისტორიის თვალწინ მქონენმა, ჩვენ უბოდიშოდ უნდა მოვახსენოთ ბ. ბირგენს, რომ მის სულ-მოკლე რჩევას ჩვენ ვამჯობინებთ ათათურქის გმირულ საქციელს, რომელმაც თავისი ქვეყნის დამამცირებელ ისტორიის წინაშე თავი არ „მოიხარა“ და ეს ისტორია თავის ნებას დეუმორჩილა.

დევ-გმირულ ბრძოლაში, რომელიც ოსმალეთმა გამოიარა, რათა თავისი დამოუკიდებლობა გამოესყიდა, ახალი ოსმალეთის შემქმნელმა უკან არ დაიხია და ყოველი მხრიდან წამოიღო დახმარება, საცა კი ჰპოვა...

ან იქნებ ბ. ბირგენს მართლა ჰგონია, რომ იმ დროის რუსული „პანთურქიზმი“ უფრო გულწრფელი იყო, ვიდრე ჩვენი დროის გერმანულ პოლონური „თურქიზმი“?

\*\*\*

ბ. ბირგენი სწერს, რომ ბოლოს და ბოლოს „პანთურანიზმი“ მხოლოდ ქორია, როგორც „თოვლის ხალვა“, ფანტაზია და სხვა არაფერიო „საბჭოთა რუსეთთან წარმოებულ თურქეთის მთავრების პოლიტიკა სწორი, დროიანი და თურქეთის ინტერესებთან შეთანხმებულია“ო.

ბ. ბირგენის თვალსაზრისს ჩვენ არ უარვყოფთ, მაგრამ ვფიქრობთ უფრო მართალი იქნებოდა, მთელი ეს ტირადა ნამყო დროში ყოფილიყო დაწერილი... ყოველ შემთხვევაში ამ ფურცლებზედ ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის რწმენა, რომ ანკარას მეგობრობა მოსკოვთან, არა მარტო განსაკუთრებული პირობებით არის გამართლებული, არამედ ერთად ერთი პოლიტიკა იყო, რომელიც ახალ თურქეთს უნდა ჰქონოდა... მაგრამ განსაზღვრულ ვადამდის.

მაგრამ ჩვენ მუდამ ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ ეხლაც, რომ წელთა სვლაში, რუსეთში სახელმწიფო ძალისა და ნორმალიზაციის განმტკიცებისა და ევროპის შესვლასთან ერთად, რუსეთის მთავრობა, რა ფერისაც არ უნდა იყოს იგი და რაც არ უნდა ერქვას მას, აუცილებლად დაუბრუნდება აღმოსავლეთისაკენ და სრუტეებისაკენ სვლის ტრადიციულ პოლიტიკას... რომლის აუცილებელი მსხვერპლი, ადრე თუ გვიან, თურქეთი უნდა გახდეს.

ჩვენს პოლიტიკურ კონცეპციაში, რომელიც ამ ფურცლებზედ არა ერთხელ გაგვიმხელია, დამოუკიდებელი კავკასიის პროვიდენციალური როლი ის არის, რომ ევროპისა და აზიის ამ შეყრილზედ, მტკიცე ბარი-





ერად დადგეს, რომ ამ საბედისწერო ყელზედ საერთაშორისო წონასწორობისა და ზავის ფაქტორი შეიქნეს.

ჩვენა გვგონია, რომ პოლიტიკურ ვითარებათა ბუნებრივი სვლა აუცილებლად მიგვიყვანს იქ, რომ თურქეთის საზოგადოებრივი აზრი გაუშინაურდება ამ დებულებას და იცნობს ამ ფაქტორის დიდ მნიშვნელობას, არა მარტო თურქეთის სახელმწიფო საზღვრების დაცვის საქმეში, არამედ მისი ეროვნული ყოფნა - არყოფნის საკითხშიაც...

ამ რიგად, ჩვენ არ ვეკუთვნით იმათ რიცხვს, ვინც თურქებს რაიმე სენტიმენტალურ ანგარიშებს ურდგენენ.

ბ. ბირგენი წრფელის გულით იგონებს იმ ამბავს, თუ რა მეგობრულის გრძნობით შეხვდნენ აზერბეიჯანელები თურქებს 1918—19 წ.წ. (სამართლიანი იქნებოდა რომ, იგივე ეთქვა ჩრდილო კავკასიაზედაც.)

მაგრამ ეს წრფელი გული, სრულიად მონათესავე და მეგობარი ხალხებისათვის, არავითარ ტიტულებს არა ჰქმნის ჩვენთვის ოსმალეთის მიმართ.

ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს და არასოდეს არ დაგვავიწყდება ის სისხლი, რომელიც, ჩვენთან ერთად, ჩვენი ტერიტორიის თეთრ და წითელ ოკუპანტებთან ბრძოლაში, თურქის ასკერებმა დაღვარეს...

ამ საღმთო ვალს ვერავითარი მასპინძლობით ვერ გადავიხდით.

თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ არასდროს ფიქრად არ მოგვსვლია, ზოგიერთი პოლიტიკური ავანტიურისტის სამწუხარო საქციელი თურქის ხალხისათვის დაგვებრალებინა და რომლებიც „სონ პოსტის“ რედაქტორმა თავის ბრწყინვალე ფელეტონებში ასე ბრწყინვალედ დაჰგმო.

სრულიად ვსდევნით აგრეთვე, როგორც ბ. ბირგენიც, ჩვენ პოლიტიკურ აღებ მიცემობაში სენტიმენტალურ თავსართებსაც. როგორც მას, ჩვენცა გვსურს რომ ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობა თურქეთთან ამიერიდან ემყარებოდეს არა სისხლისა და კულტურის ნათესაობას არამედ მხოლოდ ორივე ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკურ ინტერესებს.

აუცილებელია, რათა ოსმალეთის საზოგადოებამ მტკიცედ იცოდეს, რომ არავითარ თურქულ რასიულ პოლიტიკას კავკასიაში ჩვენ არ ვაკეთებთ. (მაშასადამე, სრულიად ზედმეტია როცა ბ. ბირგენი ჩვენი ჟურნალის ხელმძღვანელთა „თურქიზმის“ წინაშე დამსახურებას ეძებს)

სრულიად მართალია ის აზრი, რომ თურქის მოდგმის ხალხები კავკასიაში დიდათ მნიშვნელოვან უმცირესობას წარმოადგენენ. ეჭვი არ არის, რომ თურქული ენის გავლენა მნიშვნელოვანია არა მარტო აზერბეიჯანში, არამედ სამუსულმანო საქართველოში და ჩრდილო კავკასიაში, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტი თურქის მოდგმას ეკუთვნის...

მაგრამ, როგორც სამართლიანად ბ. ბირგენიც შენიშნავს, კავკასიის ამ თურქებს, ბუნებრივ თურქულ ემოციების გარდა, რომლებიც ჰქმნიან მის განუწყვეტელ კულტურულ კავშირს მთელ თურქულ სამყაროსთან, თავისი საკუთარი კავკასიური პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეგნებაც აქვთ.



ეს შეგნება აკავშირებს მათ უშუალო მეზობელ მთიელებთან დილო კავკასიაში, რომლებიც თურქის ძირისანი არ არიან, ქართველებთან და სომხებთან.

ამ არა თურქულ ელემენტების ზოგადი ჯამი, მოსულ რუსულ თესლთან და უცხო ნათესავთან ერთად წარმოადგენენ კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობას.

უმრავლესობას პოლიტიკურად ფრიად შეგნებულს და აქტიურს. ხოლო გეოგრაფიული და ეკონომიური პირობანი კავკასიისა ისეთია, რომ ყოველნაირი პლიტიკური დანაწილება ქვეყნისა, თვინიერ სახელმწიფო ერთიანობის პრინციპისა, კავკასიის ერებს მიიყვანდა ტერიტორიალურ უთანხმოებასა და დავამდის, რომლის შედეგი ის იქნებოდა, რომ ძალიან მალე, კავკასიას ისევ რუსეთი წაიღებდა...

ასეთი პერსპექტივა, გამგმირავი კავკასიის ერებისათვის, არა გვგონია ხელსაყრელი იყოს კარგად გაგებულ თურქეთის ინტერესებისათვისაც. ამაზედ ჩვენ ბევრი გვიწერია და ეტყობა კვლავაც მოგვიხდება წერა.

ჰაიდარ ბამმატ



### ბერლინ-რომის ღერძის გარშემო

ბერლინ-რომის ღერძის გარშემო თანდათან თავს იყრიან სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. უნგრეთი, სერბეთი, რუმინეთი, ბულგარეთი პოლიტიკურ-ეკონომიურად მწიფდებიან და მათ ევროპისათვის — განსაკუთრებით კი ევროპის ხერხემლის — გერმანიისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევათ. ვერსალის ზავის მიერ შექმნილ ურთიერთობას თანდათანობით ნიადაგი ეცლება. დასახლებული სახელმწიფოები ამ ზავის მიერ მოცემულ გეზს მხარს უქცევენ და მათი სახელმწიფოებრივი თუ ეროვნული მისწრაფებანი ბუნებრივ, გეოპოლიტიკური გარკვეულობის სახეს ღებულობენ.

სამხრეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოების უმრავლესობა მდინარე დუნაის კალაპოტით გადაბმულები არიან და დუნაის მაგისტრალური დენა ყველა ზევით დასახლებულ სახელმწიფოების მიმოსვლის ხაზებს ურთიერთ შორის აკავშირებს. მართალია, ვერსალის ზავის მეოხებით სერბეთმა დიდი სამფლობელოები შეიძინა. შედარებით პატარა სერბეთი დიდ სერბეთად გადაიქცა, მაგრამ ასეთმა მიკერძობამ სერბეთს მაინც ვერ შეუქმნა მიმოსვლის ხელსაყრელი მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ სერბეთი კუნძულივით ზედ აკერია ადრიატიკის ზღვას, მაინც მას არ მოეპოვება არც ერთი თვალსაჩინო ნავთსადგური, რომელიც სერბეთის ფართო ტერიტორიებს მიმოსვლის საშუალებით ერთმანეთს უკავშირებდეს.

სამხრეთ აღმოსავლეთის სამ სახელმწიფოებზე, როგორც არიან






ავსტრია, ჩეხო-სლოვაკია და ჰუნგრეთი, ლაპარაკიც ზედ მეტია. ესენი მთლად კარჩაკეტილები არიან და არც ერთ მათგანს არავითარი გასავალი არა აქვთ ზღვაზე. თავისთავად საგულისხმოა, ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური კომბინაციები დიდ ხანს თავს ვერ დაიჭერდნენ და დღეს, როგორც ვხედავთ, ვერსალის მიერ შექმნილ-აღმართული ხუხულა იფუშება. გუშინდელი გამწვავებული მდგომარეობა, ურთიერთა შორის ეროვნული სიძულვილი, დიდი ომის მიერ შექმნილი მტრობა და ქიშპობა დავიწყებას ეძლევა და ერები ერთმანეთს ხელს უწვდიან ხანგრძლივი მეგობრობისათვის. ვინ წარმოიდგენდა, თუნდაც ამ რამდენიმე წლის წინედ, რომ სერბეთი ბერლინ-რომის კავშირში შევიდოდა და აქ დაიდებდა თავის სამომავლო ბინას.

თითვეულ ერს თუ სახელმწიფოს აქვს თავისი საპერსპექტივო ისტორიული გზა-გაქანება, რომელსაც ბოლოს იგი ვერ წაუვა. დროის და გარემოების მიერ ხელოვნურად შექმნილი ჩარჩოები უნდა მოიგლიჯოს და თავისი ბუნებრივი მსვლელობის გზას დაადგეს. სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, განსაკუთრებით სერბეთი, რუმინეთი და ბულგარეთი თავიანთ სამეურნეო ნაწარმოებს — ხორბლეულობას, სხვა და სხვა ჯიშის ძირის მოსავალს, საქონლის საკვებ ბალახეულობას, აგრეთვე ხორცს, ქონს და ტყავეულობას უმთავრესად გერმანიაში ასაღებდნენ და მთელი მათი სამეურნეო ნამოქმედარი გერმანიის ბაზარზე გაჰქონდათ. განა მთელი სამეურნეო ნაწარმოები, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის უშრეტ-გულუხვი მინერალები, მდინარეთა ძვირფასი თევზეულობა, ყველა ერთად აღებული გერმანიის ინდუსტრიის ურაცხვ ნედლე მასალას იძლევა და გერმანიის ხალხის საკვებ საუნჯეთ ხდება. ამას ზედ დაემატება მანძილთა სიახლოვე, წყლით მიმოსვლის სიადვილე და სხვა მრავალი გარემოება, რომლითაც სამხრეთ აღმოსავლეთის ევროპის სახელმწიფოები ბუნებრივად უკავშირდებიან გერმანიის სახელმწიფოს. ამათ შორის ბუნებრივი შრომის განაწილება, რაციონალური ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა ხდება და ზოგიერთა გარეშე სახელმწიფოთა პოლიტიკური მისწრაფებანი აქ ფეხს ვერ მოიკიდებენ.

დღეს ბრმასაც თვალები აეხილა, ცრუ პოლიტიკოსებს გონების თვალზე ლიბრი გადაეცალათ და ყველაფერს ნათლად ჰხედავენ. ზოგიერთა სახელმწიფოების მინისტრთა დიპლომატიური ვიზიტები სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, მხოლოდ უბრალო გასეირნებათ დარჩა და მათმა „დიდმა პოლიტიკამ“ ჩაილურის წყალი დალია. სამაგიეროთ გერმანია-იტალიას ეწვია სამხრეთ სლავთა მინისტრთა თავმჯდომარე, რომელიც მტკიცედ გადაება ბერლინ-რომის პოლიტიკას და ბერლინ-რომის ღერძის ტრიალს გულუხვი საპონი წაუცხო მედგარ ასამოძრავებლად.

რუმინეთის ახალი რეჟიმის დამყარება, ესეც ერთი ძლიერი გამოძახილია ბერლინ-რომის კავშირის გასაძლიერებლად. რუმინეთმა დიდი გერმანეთისაკენ პირი იქცია, რუსეთის საშიშროებამ კარგა ხანია თვალი გაუხილა და დიდი ომის უსიამოვნება სავსებით დაავიწყა. უკანას-





კნელიც ბუნებრივ მოკავშირეს დაუახლოვდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უღელში შეება.


უნგრეთი ხომ საეჭვო აღარ არის. ბერლინ-რომთან კავშირი მისთვისაც ისევე აუცილებელია, როგორც პატარა პლანეტის დიდ პლანეტის გარშემო ტრიალი. რაც შეეხება ავსტრიას — ეს ხომ განუყრელი ნაწილია თავისი დიდი სამშობლოსი, ავსტრიის ხალხი გერმანიის ხალხის სისხლი და ხორცია. პირველი მეორის ძარღვის ცემით არსებობს და ავსტრია დღეს თუ ხვალ ორგანიულათ შეუერთდება თავის დიდ ეროვნულ სხეულს.

ჩვენ მიერ დასახელებული სახელმწიფოთა კავშირი, რასაკვირველია მარტო ამითი არ შემოიფარგლება. ბერლინ-რომის ღერძის ტრიალს უფრო მეტი გასაქანი აქვს და სულ ახლო მომავალში ამათი ტერიტორიალური მიჯნები უფრო შორს და შორს ჩაიყრება. პოლონეთი, მომავალი უკრაინა, მთელი კავკასია თავიანთი მრავალ მილიონ მცხოვრებელით, თავიანთი ეროვნული შეგნება მისწრაფებით, თავიანთი მომავლით ბერლინ-რომის გაძლიერებაში ხედავენ უკეთეს მომავალს. მართალია, ეს გზა-კავშირი მხოლოდ და მხოლოდ ია ვარდით არ არის მოფენილი. აქაც შეიძლება არსებობდეს და სამემრისოდ, ზოგიერთი საშიშროება თვალწინ იხატებოდეს, მაგრამ წვრილმანი დაბრკოლებანი ბურუსით ვერ შემოსავენ იმ დიდსა და სამემრისო მიმდინარეობას, რომელიც მომავალში თითოეულ ერს თუ სახელმწიფოს ბრწყინვალე შედეგებს უსახავს.

სანიმუშოდ დავასახელოთ თუნდაც გერმანია—პოლონეთი. ვინ არ იცის, რომ დღეს გერმანიასა, ვერსალის ზავის მეოხებით, ეგრეთ წოდებული კარიდორის საშუალებით, ჩამოშორებულს თავის აღმოსავლეთ ერთ ნაწილისაგან და პოლონეთს შორის ბუნებრივი კავშირი მეტად გაძნელებულია. მაგრამ დღეს დიდი და ძლიერი გერმანია დროებით ამ არაბუნებრივობაზე არ ლაპარაკობს. დროებით ეს საკითხი დღიურ საკითხებში არა სდგას და მომავლის ურთიერთა შორის მეგობრობას მორიგების საკითხის ხასიათი მიეცა. შესაძლებელია, თვით პოლონეთსაც ესახებოდეს შემდეგისათვის ერთგვარი საშიშროება, მაგრამ, ვიმეორებთ, დღეს სამომავლო დიდი საკითხის გამო ეს იჩრდილება, ერთგვარ დავიწყებას ეძლევა. ის საშიშროება რომელიც პოლონეთს რუსეთიდან მოელის, სამართლიანად, ბევრ რასმე ავიწყებს და მომავალ გეზსა და კავშირს სრულიად შეგნებულად და ფხიზლად უცქერის. ერთიც და მეორეც შედარებით წვრილმან დავას განზე სწევენ და დიდი მომავლისაკენ თვალხილული იყურებიან.

მრავალი სადავიდარაბო საკითხები არსებობს პოლონეთ უკრაინას შორის. საზღვრების ბუნებრივი გასწორების საკითხს დღეს ჭკვათა მყოფელი პოლონელი და ჭკვათა მყოფელი უკრაინელი პირველ რიგში ვერ დააყენებს. უკრაინას უმთავრესად სურს დიდი რუსეთის მონობიდან განთავისუფლება; უკრაინა მთლიანად რუსეთის ხელშია, აქედან უნდა თავის განთავისუფლება და საკუთარ ფეხზე დადგომა, ეროვნულ





სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი არსებობა. ეს დიდი საკითხი დროებით წვრილმან საკითხებს ფარავს და მას დღიურ ჭირ-ვარამათ არ აღიარებენ. თითოეული ერის თაობას აქვს თავისი საკუთარი და ერის წინაშე დასახული სამარადისო საკითხები გადასაჭრელი, უკეთუ ამ საკითხის გადაჭრა დროს შესაფერად მოახერხა — ამით ის თავის დიდ დანიშნულებას პირნათლად ასრულებს. ამით მომავალ თაობას გზას უკაფავს — მომავალში დანარჩენი საკითხები, დანარჩენი მოუწესრიგებელი საქმეები ადვილ პირობებში გააკეთოს.

ჩვენზე, კავკასიის მცხოვრებზედაც ასევე ითქმის. მთიულებს, სომხებს, ქართველებს, თვით აზარბეიჯანელებს მეზობელ სახელმწიფოებთან მრავალი საკითხები აქვს მოსაწესრიგებელი. კავკასიელ ხალხთა ისტორიულ საზღვრებს ჩრდილოეთით თუ სამხრეთით მეტად შორს უდევს თავიანთი დასაწყისი. შორს და მეტად შორს მიდის საქართველოს, მთიულეთის და სომხეთის ბინადრობა. ეს ადგილი ამ ხალხთა წინაპართა სისხლით არის მორწყული. მეზობლების უხეში და ძალმომრეობის პოლიტიკით საუკეთესო ნაწილები ჩამოუთლიათ და ჩვენი სისხლის და ხორცის ძმები ჩვენთვის დაუშორებიათ. თითოეული ჩვენგანი გულის ტკივილით მოიგონებს დაკარგული ადგილებისა და ჩამოშორებულ ძმათა დაკარგვა-დაშორებას. მაგრამ დღეს უფრო მეტი ტკივილები, უფრო მეტი ვაება გვახვევია თავს. ჩრდილოეთის მტერი, გაშლილ ტრიალ მინდვრებიდან აწყვეტილი მთელ კავკასიის მცხოვრებთ შავი ლოდით დაგვაწვა და თითქმის დედამიწის ზურგიდან აღგვას გვიპირებს, თითქოს არც ოდესღაც ვყოფილვართ და არც დღეს ვიმყოფებით. აი, მთავარი საკითხი, უდიდესი უბედურება, რომელიც კავკასიის თითქმის თორმეტ მილიონ მცხოვრებთ ზედ დასწოლია და თავის უღმობელ თათებით გლეჯს და წიწკნის ჩვენ ეროვნებათა სხეულს.

დიდი და ძლიერია ეს მხეცი, დაუნდობელი და გაუკითხავი. ამისი ველურობით, დაუნდობელი საქმიანობით თითქმის მთელი კაცობრიობა ძრწის. დღეს მთელი კავკასიის მცხოვრებთა გონების თვალი აქეთ არის მიპყრობილი და ამ ძალის კლანჭებიდან ლამობს განთავისუფლებას. დღეს, კავკასიის მცხოვრებთ სხვა გარეშე ძალის საშიშროებაზე აღარ შეუძლიან ფიქრი; კავკასიის ერთა გული, ეროვნებათა მთავარი საარსებო ადგილ მამულები რუსეთს ხელთ უპყრია და ჯიჯგნის როგორც ეს მას მოეპრიანება. ჩვენ არ შეგვიძლიან ერთი ქართული პიესის გმირისა არ იყოს დღეს ვიძახოთ: „ყველანი გამოდითო“! ამისათვის ჩვენ არც დრო გარემოება გვიწყობს ხელს და არც ამის ფარხმალი მოგვეპოება, არც ამის საფანელი გვაქვს.

დღეს ისეთ მდგომარეობაში არ ვიმყოფებით ჩვენ, რომ შემდეგი აზრი წავიმძღვაროთ: ან სულ ან არაფერიო! ასეთი ურა პოლიტიკით კავკასიის მცხოვრებნი ბევრს ვერ მოიგებენ და თავიანთ მთავარ მიზანს ვერ მიახწევენ. ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, თითქოს კავკასიის ერებმა მხოლოდ და მხოლოდ სადღეისო კითხვებზე იფიქრონ, მათი თვალი და გონება ერთი გეზით იცქირებოდეს. არა და ათასჯერ არა! შეიძლება



დრო და გარემოების მიხედვით სამხრეთ მეზობელსაც მადა გაეღვიძოს, იმანაც სურვილი გადიდება-გაფართოება მიზნათ დაისახოს. სწორედ ასეთ საშიშროებამ უნდა ფხიზელი-მოფიქრებული პოლიტიკა გვაწარმოებინოს, რომ ერთ მთავარ მტერს მეორეც არ მიუმატოთ და თავი მტერთა რკალში არ მოვიქციოთ.

საშიშროების გაზვიადება, ხელოვნურად გაზრდა გადიდება ქვაკუთხედათ არ უნდა დაედოს კავკასიის ხალხთა საგარეო პოლიტიკას. ის რაც ჩვენ სამხრეთით გვაწუხებს და მოსვენებას არ გვაძლევს, ყოველმხრივ უნდა აწონ-დაწონილი იყოს, შესაძლებლობის ფარგლებს არ უნდა შორდებოდეს. კავკასიის მცხოვრები, უკეთუ რუსეთიდან თავი გაინთავისუფლა, რაშიაც იგინი ღრმად დარწმუნებულები არიან და ეს დრო არც ისე შორს არის, სამხრეთის მეზობელთან აუცილებლად შეთანხმების ენას გამოძებნის. ფეხზე დამდგარ კავკასიის სახელმწიფოს უფრო მეტი საშუალება ექნებათ სამხრეთ მეზობელთან, გაცილებით მშვიდობიანის გზით, ურთიერთა შორის გაგებით და შეთანხმებით მოაწესრიგონ საზღვრების საკითხი. მით უმეტეს, რომ ჩვენ სამხრეთ მეზობელს გვერდში აღარ ეყოლება ის დიდი და საშიში სახელმწიფო, რომელიც ჩვენთან ერთად მასაც წაღვეკვას უქადის. ჩვენ ვფიქრობთ, დიდი რუსეთის გვერდით ყოლა არც მისთვის არის სახეირო-სანატრელი. ოსმალეთში ხალხური თქმულება ყოფილა რუსეთზე: დათვი მკვდარიც რომ იყოს, ფეხს ნუ წაჰკრავ, შეიძლება გაცოცხლდეს და დაგფლითოსო. კავკასიის ხალხები უშუალოთ ადვილად გამოსძებნიან შეთანხმების ენას სამხრეთ მეზობელ სახელმწიფოსთან; მათ არ დასჭირდებათ თარჯიმანი, კეთილსინდისიერი მაკლერი. მთავარი საქმე ჩვენი ფეხზე დადგომა, რუსეთიდან თავის დახწევა და საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობაა.

დღეს კავკასიის ერებს საკუთარ ფეხზე დადგომის იმედი ისე გაუცხოველდათ, რომ მათ ამ რწმენასა და სურვილს გულიდან ველარავინ ამოგლეჯს; რწმენა მათ საქმედ, სინამდვილედ გადაექცევათ. თვით მსოფლიო ვითარებაც ჩვენ იმედებს გაორკეცებულად აორკეცებს; ბერლინ-რომის და ტოკიოს ღერძის გარშემო თავს იყრიან არა მარტო სამხრეთ აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოები, არამედ შავი ზღვის ნაპირას მოსახლე ერებიც: უკრაინა, კავკასია — თავიანთ მცხოვრებით ამ მიმართულებას გვერდში უდგანან და თავიანთ ახლო და შორეულ მომავალს ამ კავშირის გაძლიერება გაფართოებაზედ ამყარებენ. აქეთ არის ამ ორ უკანასკნელი ხალხების იმედები და მათი ფეხზე დადგომა და გაღონიერება ბედნიერება იქნება ჩვენთვის და ბერლინ-რომ-ტოკიოს სახელმწიფოებისთვისაც.



### იმავე საკითხის ბაზო

იძულებული ვართ ისევ იმავე საკითხს დაუბრუნდეთ: როგორი იყვნენ ქართულ-ოსმალური ურთიერთობანი დამოუკიდებელ საქართველოს არსებობის უკანასკნელ თვეებში, ე. ი. 1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დამდეგს? წინა წერილში (სან - სტეფანოდან ბათუმამდის. 1878—1921. იხ. „კავკაზი“ №1—49) ჩემ მიერ მოყვანილი იყვნენ თურქულ ეროვნული პაქტის შესახები ცნობანი, რომელთაც კავშირი აქვთ სამ კავკასიურ სანჯაყთან (ყარსთან, ართვინთან და ბათუმთან). ამ პაქტის ტერიტორიალური მოთხოვნებიანი, 1921 წლის 16 მარტის აქტით, მოსკოვის მიერ აშკარად იყვნენ ცნობილი, ერთის არსებითი გამონაკლისით საქართველოს სასარგებლოდ (აქტი სწორედ საქართველოზედ ლაპარაკობდა და არ უმატებდა — „საბჭოთა“ს.) რომელსაც მფლობელობაში რჩებოდა ბათუმი — ქალაქით, პორტით და მისი ოლქის ნაწილით. მაგრამ როგორი იყო დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება ამ ეროვნულ პაქტისადმი? ამას წინად უდროვოდ გარდაცვლილ ს. მდივანის დასაფლავებაზედ, რომელიც იყო საქართველოს ელჩი ანკარის მთავრობის წინაშე 1920—21 წლებში, ერთმა ოფიციალურმა ორატორთაგანმა გაიხსენა „ფირმანი“, რომლითაც საქართველოს მთავრობამ დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა იცნო. მაგრამ როგორი იყო ამ „ფირმანის“ რედაქცია და რა პირობებით იყო საზოგადოთ ეს ცნობის აღიარება გამოთქმული, ვინაიდან ეს ეროვნული პაქტი ამ სამ სანჯაყს ოსმალეთის განუყოფელ ნაწილად სთვლიდა?

ეს საკითხი, როგორც აგრეთვე ამაზედ უფრო ადრე ჩემ მიერ დასმული (იხ. „კავკაზი“ ნომ. 1—44) — თუ რა კომპენსაციებს დაჰპირდა საქართველოს მთავრობა ოსმალეთს საბჭოთა ჯარების შემოსევის წინააღმდეგ შველისათვის (თუ კი ამის გამო მათ შორის მოლაპარაკება სწარმოებდა) — დიდ საყურადღებო საგანს წარმოადგენს და პასუხს მოითხოვს ქართველების მხრით არა, რა თქმა უნდა, უბრალო ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ საკმაოდ ცნობილი გახდა მეორე — ოსმალური შეხედულება ამავე საგანზედ. ეს ოსმალური შეხედულება კი გამოიხატება იმაში, თითქოს არდაგანი, ართვინი და ბათუმი, 1921 წელს, ოსმალეთს ქართველების თანხმობით დაეჭიროს.

„ოსმალეთმა რომ არდაგანი, ართვინი და ბათუმი საქართველოს თანხმობით დაიჭირა“ — ამის შესახებ ლაპარაკია, მაგალითად, ძველის მიხედვით, ისეთ ავტორიტეტულ და გავრცელებულ გამოცემაში, როგორიც არის ბრიტანული ენციკლოპედია (ტომი 22, გვ. 614 — 615, 1929 წელი. წერილი ოსმალეთზედ.); მაგრამ ლაპარაკია არა საკმაოდ მკაფიო გამოთქმებით, თუმცა იმავე დროს მოხსენებულია ისიც, რომ „მენშევიკური მთავრობა ჩამოგდებული იყო“ ვო. საჭიროა ისიც ითქვას, რომ წერილი დაწერილია ყოფილი ოსმალთა პროფესორის და დეპუტატის მიერ.



მაგრამ საჭირო არ არის ახალ ოსმალეთის შესახებ დაწერილ მდიდარ ლიტერატურადგან ყველა ამონაწერები მოვიყვანოთ, საკმაო არის ისიც რაც მე უკვე ამავე ქართულ „კავკასია“ში გამოვაქვეყნე (იხ. „კავკასია“ ნომ. 2—9 დამატებითი შენიშვნები „მაზრების გაცემაზე“.), როგორც ჩემი რუსული წერილის დამატება (სან სტეფანოდგან ბათუმამდის. 1878—1921. „კავკაზი“ ნომ. 1—49. იქ (ნომ. 2) ახალი თურქეთის ოფიციალურ ისტორიაზე (1935) ვუთითებდი.

დასასრულ მოვიყვან იმავე ეპიზოდის აღწერას, ათი წლით ამაზე ადრე გამოსულს, ვიდრე ეს ზემოდ ნახსენები ოსმალური წიგნია. იგი ეკუთვნის მიუდგომელ ისტორიკოსს არნოლდ ტონზის, მოქცეულია „საერთაშორისო საქმეთა მიმოხილვაში 1920—1923 წ.წ.“ და გამოცემულია „საერთაშორისო საქმეთა ბრიტანულ ინსტიტუტის“ მიერ ლონდონში, 1925 წელს.\*)


„22 თებერვალს (1921 წ.) ანგორამ გაუგზავნა საქართველოს მთავრობას ულტიმატუმი, ართვინისა და არდაგანის გადაცემის გამო, რომლებიც, ბათუმთან ერთად, ბრესტ-ლიტოვსის ხელშეკრულების ძალით რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო. ამაზედ საქართველოს მთავრობამ თანხმობა გამოსთქვა, იმ პირობით ოღონდ, რომ ოსმალებს ამავე დროს ბათუმიც დროებით დაეჭირათ, ეტყობა, რათა იგი ბოლშევიკებს არ ჩავარდნოდათ ხელში. ამისდამიხედვით ოსმალებმა ბათუმი 11 მარტს დაიჭირეს, ხოლო ამასობაში საქართველოს მთავრობამ, დასცალა რა ტფილისი 25 თებერვალს, ხელი მოაწერა 14 მარტს რუსებთან დაზავებას, 17-ს კი კონვენციას, რომლის ძალით მან ერთხელ კიდევ მოიწვია უცხოელები — ამ ხელად „წითელი“ არმია — ბათუმის დასაჭერად. 17 მარტს თვით ბათუმში ატყდა ბრძოლა ქართულ და ოსმალს ჯარების შორის და ქართველებმა, რომლებსაც ზურგში რუსები უდგნენ, შესძლეს ოსმალები ბათუმიდგან განეძევიებინათ და სხვ.\*\*)

\*) იხ. გვ. 368—700, „მიმოხილვა“ წარმოადგენს „პარიზის საზავო კონფერენციის ისტორიის“ გაგრძელებას (ექვსი ტომი, ლონდონი 1920—1924.) ეს ისტორიაც იმავე ინსტიტუტის გამოცემულია.

„მიმოხილვის“ იმ თავისთვის, რომელშიაც რუსეთზედ, ამიერ კავკასიაზედ და ოსმალეთზედ არის ლაპარაკი, საიდგანაც მოყვანილია ამონაწერი ტექსტში, ავტორს უსარგებლია ჩემი წიგნითაც: „საქართველოს დამოუკიდებლობა და სხვ. 1924 წ.6, რომელზედაც უთითებს კიდევაც. გარდა ამისა, მევე შევატყობინე ზოგიერთი დამატებითი ცნობები (იხ. მისი წინასიტყვაობა) მაგრამ არა ბათუმის, არდაგანის და ართვინის შესახებ. მისი საკუთარი მსჯელობა ეტყობა, ეფუძნება ცნობებს, რომლებიც ინგლისურ წყაროებიდგან უნდა იყოს მიღებული. ზ. ა.

\*\*\*) „საერთაშორისო საქმეთა მიმოხილვა“ დაბეჭდილია 1925 წელს, ხოლო 1937 წლის დეკემბერში საქართველოს „ეროვნული მთავრობა“ კი „კავკაზ“ში გამოქვეყნებულ ცნობების შესახებ, რომ ართვინი და არდაგანი ოსმალეთს მენშევიკურმა მთავრობამ გადასცა 1921 წელსაო,





ძალიან ხშირად გვესმის და ვკითხულობთ, რომ აი ბოლშევიკებმა არც აიღეს, არც დაიღეს და არდაგანი, ართვინი და სხვა ოსმალებს მიართვესო. ეს საქციელი ჭეშმარიტად საძაგელი იყო. მაგრამ მთავარი ჭირი მაინც ბოლშევიკური მუხანათობა კი არ იყო, არამედ ოსმალეთის ეროვნული პაქტი, ჭირვეულობა, რომ ოსმალები ყარსს, არდაგანს და სხვა ადგილებს სამართლით თავის კუთვნილებად სთვლიდნენ. ამის გარდა, რაკი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელის მოწერის შემდეგ, აღარც ოსმალეთის მტრებადა სთვლიდნენ თავს და თვით ამ ზავსაც იძულებით აწერდნენ ხელს, განუკითხავად\*\* — დასავლეთ სახელმწიფოებთან იზარალა სომხეთმა და საქართველომ, განსაკუთრებით პირველმა, მაგრამ, საცა სამართალია, ყოველივე ეს ჯერ საკუთარ თავს თავს უნდა მოჰკითხონ. ესეც არის, რომ ეს უკვე სხვა თემაა. მაგრამ როგორია ბედის ტრიალი და ეტლის ცვალებადობა!

1919—1920 წ. წ. საქართველოს და სომხეთს თითქოს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ ამ სამ სანჯყაში მოწყობილიყვნენ. დღეს კი ოსმალური სტატისტიკიდან ვტყობილობთ, რომ 1927 წელს, ყარსის ვილაიეტის 160.192 თურქზედ და 42.945 ქურთზედ მხოლოდ 21 სომეხი, 157 ჩერქეზი და სხვა მოდის (მთელ ვილაიეტში მაშინ 204.846 მცხოვრები აღირიცხა).

მე უკვე მქონდა ლაპარაკი ამ აღწერის შედეგებზედ (იხ. „კავკაზ“ 1936 წლის № 6—7 და 8), სადაც აღნიშნული მაქვს, რომ მოსახლეობის დედა-ენის სტატისტიკაში ქართველები არა სჩანან. ეს არა ნიშნავს, რომ ქართველი მუსულმანები ბუნებაშიაც არ იყვნენ, პირიქით, ისინი ცოტანი არ არიან, ჯერ ეს ერთი ახალ ართვინის ვილაიეტში, სადაც ის-

ოფიციალურ უწყებაში აცხადებს: ეს ცნობები ერთად და თვითეული ცალ-ცალკე მოკლებულია ყოველივე ისტორიულ სიმართლეს და გამოგონებულია ახლა, სახელდახელოდ განსაზღვრულ მიზნის მისაღწევათ, სახელდობრ: გაამართლონ „კავკაზის“ მიერ აღებული ხაზი საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის წინააღმდეგ“ო და სხვა. („დამოუკიდებ. საქართველო“, დეკემ. 1937 წ. გვ. 8) რა საჭირო იყო იმის „გამოგონება“, რაც ჯერ კიდევ 1925 წელს ავტორიტეტულ ინგლისურ გამოცემაში იყო დაბეჭდილი, ხოლო ოსმალეთის ოფიციალურ ისტორიაში— 1935 წელს?

რედ.

\*\*\*) ამ მხრით ბრესტ-ლიტოვსკის ზავსა და 1918 წლის 4 ივნისის აქტის შორის, რომელსაც ბ. ბ. ნ. რამიშვილმა, გ. გვაზავამ და სხვ. ხელი მოაწერეს და რომლითაც ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი და სხვ. ოსმალეთზედ გადავიდა — განსხვავება არ არსებობდა.

ბრძოლაში, ბოლშევიკები, 1921 წლის მარტში, მათი მოკავშირენიც კი გახდნენ. ასეთ პირობებში გასაკვირველი აღარ უნდა იყვეს, რომ ახალი მეგობრები, არა თუ არ აიშალნენ, თუნდა ყარსის გამოც, არამედ და პირიქით გულის ამტოვებელი აზრის ერთი და იგივეობა გამოიჩინეს.



ინი მოსახლეობის უმრავლესობას უნდა წარმოადგენდნენ (სულ იქ სამ მაზრაში 90.066-ა, რომელთაგან დედა-ენის მიხედულობით თურქებად 82.514-ია დასახელებული) შემდეგ ყარსის ვილაიეტში და სახელდობრ არტაანის, ჩილდირის, ფოცხოვის და ლელეს მაზრებში. მთელი მოსახლეობის რიცხვი აქ 1927 წელს უდრიდა აგრეთვე 90.000\*). მაგრამ როგორია ამ რიცხვში ქართველ მუსულმანთა პროპორცია, ამას ვერავინ იტყვის, რადგან ამ ვილაიეტში მნიშვნელოვან რიცხვს ქურთები წარმოადგენენ (43.000, 160.000 თურქთან ერთად; არ ეხებოდა თუ როგორ არიან განაწილებული ქურთები ამ მაზრებში). ოლთისის მაზრა არზრუმის ვილაიეტზედ არის მიწერილი. მისი მოსახლეობა 36.996-ად არის ნაჩვენები. ესეც ძველი ქართული რაიონია, მაგრამ 1920 წელს საქართველოს ის არა ჰქონია; ამნაირად დასახელებულ მაზრებში „თურქი“ მუსულმანი სულ 200 ათასამდის უნდა იყოს. ადვილად წარმოსადგენია რომ მათი უმრავლესობა ჩამომავლობით ქართველია, მაგრამ ძნელია სათქმელად თუ როგორია ეს უმრავლესობა, ოდესღაც საკმაოდ გათურქებული, თუმცა სხვა და სხვა ხარისხით (მაგრამ მაინც, ერთია ქართველი მუსულმანი, სხვაა — ქართველი ჩამომავლობის თურქი.)

მოსაწონია თუ არა ეს, აღწერის დროს ყველა მათ თავის დედა ენად თურქული განუცხადებია. არა გვგონია რომ ამის ძალას ადმინისტრაცია ატანდა. 1937 წელს ოსმალეთში 11.777.822 თურქის გვერდით ნაჩვენებია: ბერძენი — 119.922, სომეხი — 64.745, ჩერქეზი — 95.901 ქურთი — 1.184.446 და სხვა. „ქართველები“ არ იხსენებიათ. იქნება ისინი მოქცეული არიან 110.469 „სხვათა და უცნობთა“ რიცხვში? საეჭვოა. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ რაკი „თურქსა“ და „მუსულმანს“ თანაბარ მნიშვნელობას აწერენ, როგორც მუსულმანები თავის თავს ისინი თურქებათაც სთვლიან. სწორედ ამნაირი სერბული, ბოლგარული და ნაირი ჩამომავლობის „თურქი“ ბალკანებზედ, რამდენიც გნებავთ, იმდენი იყო. პოლონეთისა და რუსეთის საზღვრების შერეულ ადგილებშიაც რჯულის სხვა და სხვაობა კათოლიკებს და მართმადიდებელთა შორის ერთებს „პოლონელებად“ ხდიდა, მეორეებს — „რუსებად“.

ეროვნული შეგნების ასეთ დონეზედ, ანუ უკეთ, ასეთ ეროვნულ შეუგნებლობაში, ჩვენთვის საყურადღებო ტერიტორიების ქართულ — მუსულმანური მოსახლეობა დიდი ხანი არ არის რაც იმყოფებოდა, ასეთმა შეგნებამ რომ სხვა პირობებში შესაძლებელია ცვლილება განიცადოს, ესეც ეჭვს გარეშეა. მაგრამ ეს უკვე მომავლის საქმეა და, შესაძლებელია, არც ისეთი შორის. მეორე მხრით „თურქის“ დარქმევა, როგორც ეს 1927 წლის აღწერის დროს ხდებოდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ აღწერილი პირი არა თურქულ ერს არ ეკუთვნის, თუნდა ქართველსაც, ესეც ცხადია, თავის თავად იგულისხმება, რომ, მაგალითად,

\*) მაშასადამე — არპაჩაის, ყაგიზმანის, ყარსის და სარიკამიშის მაზრების გამოკლებით.





ჩერქეზული ჩამომავლობის თურქი გაცილებით მეტია ვიდრე 96 ათასი ჩერქეზი, რომელიც აღწერამ აღმოაჩინა. ცოტანი არ არიან ოსმალეთში ისეთებიც, რომელთა ძარღვებში ქართული სისხლი სდის, სამი სანჯაყის მცხოვრებ ქართველ მუსულმანებზედ რომ არაფერი ვსთქვათ, რომელთაც აღწერის დროს ამჯობინეს თავის დედა ენათ თურქული დაესახათ. აღვნიშნავთ, კიდევ, აღწერა მოაწყვეს ევროპიელ ექსპერტებმა და რაიმე ბოროტმოქმედებაზედ და ძალდატანებაზედ, ამ აღწერის დროს არაფერი თქმულა.

ქართველ მუსულმანთა თავისებური მდგომარეობა, ისტორიული წარსულის მემკვიდრეობა, საკმაოდ ცნობილია. ამის გამო 1918 წელს მე ვწერდი: „ბათუმის ოლქის ქართველ მუსულმანებს თავისად სთვლის საქართველო (როგორც ქართველებს) და ოსმალეთი (როგორც გათურქებულ ქართველებს და მუსულმანებს.) მაგრამ როგორ სთვლიან თითონ თავის თავს ისინი, ვინც ოლქში მცხოვრებთა უმრავლესობას წარმოადგენენ? თურქებად, თუ რომ დაუჯერებთ ბრესტში გაკეთებულ განცხადებას მათი თვითგამორკვევის შესახებ. ქართველ მუსულმანებად, როგორც იყო განცხადებული საქართველოს ეროვნულ ყრილობაში 1917 წლის ნოემბერში, სადაც, სხვათა შორის, დადგენილ იყო, რომ საქართველოს მომავალ სახელმწიფო აღნაგობაში, მის მუსულმანურ ნაწილს ავტონომია უნდა მინიჭებოდა“. (წერილი: „ბათუმი და ყარსი“)

გზა და გზა შევნიშნავ, რომ ეს ავტონომიის იდეა, როგორც საპასუხო საჩუქარი, 1921 წლის 16 მარტს, ოსმალ-საბჭოთა ხელშეკრულების სახით, ოსმალეთმა საქართველოს დაუბრუნა. ეს ხელშეკრულება ჰგულისხმობს აჭარის რესპუბლიკის ავტონომიას, რომელიც ოსმალებმა ბათუმის სანჯაყის ნაწილისათვის გამოითხოვეს და რომელიც ამ ხელშეკრულების ძალით საქართველოს დარჩა.

1921 წლის საზღვარმა დააცილა ერთმანეთს აჭარისა და ახალციხის მხარის ქართველი მუსულმანობა ყარსისა და ართვინის ვილაიეტების ასეთსავე ქართველ მუსულმანობას. 1914—1918 წლის ომის დროს მთელი ეს მოსახლეობა რუსეთ - ოსმალეთის ომის მიერ გამოწვეულ არა სახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდა. ეხლა ერთნი გადიან კომუნისტური რევოლუციის სუსხიან სკოლას; მეორენი ემორჩილებიან ახალი ოსმალეთის სასტიკ დისციპლინას. ეჭვი არ უნდა, რომ პირველები დღეს უფრო მტკიცედ არიან ჩაბმული საერთო ქართულ საზოგადოებრივ-ეროვნულ ცხოვრებაში, ვიდრე გუშინ. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი განათლების გამარჯვებით მათ წრეში, მეორენიც შესძლებენ თავი დაახწიონ წარსულის მსოფლხედველობით თავზედ მოხვეულს მცონარობას და ეროვნულ თავს - ტომობის შეგნება, უკეთ კი, მათი ჩამომავლობის გრძნობა მათშიაც გაღრმავდება. ე. ი. თავის თავს იგრძნობენ სხვანაირ ანუ ქართული მოდგმის თურქებად. ამ ნიადაგზედ ოსმალეთსა და საქართველოს შორის, შესაძლებელია, ცოცხალი კავშირი და საყურადღებო, ნაყოფიერი თანამოქმედება წარმოიშვას.

ჩვენი მოკლე შენიშვნები სამი ოლქის პოლიტიკური ბედის შე-



სახე, რომლებიც გადაწული არიან ბათუმის, არტაანის და ყარსის სტორიულ სახელებთან ამაზედ უნდა შევსწყვიტოთ და მათი ყოველმხრივი განხილვა, მათი მოსახლეობის და ამ მოსახლეობის ხასიათის საკითხი, მათი სხვა და სხვანაირი ეთნიური შემადგენლობა, მათი შედარებითი რიცხვი, განსხვავება შეტანილი შიგ მათის განადგურებით, გადასახლებით და უცხო თესლის ჩასახლებით 1878 წლის შემდეგ, 1914 — 1921 წლების ომების დროს და შემდეგშიაც, სხვა უფრო ხელსაყრელ დროისათვის უნდა გადავდოთ.

ამასთანავე სომეხ ქრისტიანთა სრული გაქრობა ამ მხარეში მკვერმეტყველურ პასუხს იძლევა, თუ რა ყოფაშია იქ სომხების საქმე; ხოლო რაც შეეხება ქართველ მუსულმანთა იმ სექტორს, რომლისთვისაც უკეთესია ოსმალეთის საქართველო გვეწოდებინა ვიდრე მუსულმანური საქართველო, საჭიროა, როგორც მკითხველი უკვე დარწმუნდა, რომ მისი ნამდვილი მისწრაფების და ეროვნული შეგნების უფრო ზედმიწევნითი ცნობები გვექონდეს. რანაირიც არ უნდა იყოს ჩვენი დასკვნა, 1921 წლის საზღვრების გასინჯვის საკითხთან მას საერთო არაფერი აქვს. ასეთი საკითხი დღეს დღეობით არ არსებობს. ახალი მოსალოდნელი ძვრების ანუ გადატრიალების შანსებს და მათთან გადაწულ ფრიად სერიოზულ რისკებსაც რომ თავი ვანებოთ, შეიძლება ითქვას მხოლოდ ერთი: ყარსისა და არტაანის მნიშვნელობა ოსმალეთის თავდაცვის საქმეში ისეთი დიდია და ისეთი მტკიცეა თურქ ნაციონალისტების რწმენა, რომ ეს სიმაგრენი მათი სამშობლოს განუყოფელი საკუთრებაა რომ იმედი, როგორც ეს ეტყობა ბევრსა ჰგონია, ვითომც ოსმალეთი თავისი ნებაყოფლობით აიღებს ხელს, მათ მფლობელობაზედ, ერთად ანუ ცალცალკე... რა უნდა ითქვას? ... გულუბრიყვობაა. მადნების დამუშავების განახლებამ ართვინის რაიონში (მურღული და კარცხანა) და 1937 წლიდგან ამ წარმოების ოსმალეთის სამწლედ სამთამადნო მეურნეობის გეგმაში შეტანამ, ინგლისელ მოსაქმე წრეების შიგ ჩარევით ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილიც უფრო მტკიცედ გადააბა ცენტრს. ქართულის თვალსაზრისით ყოველივე ეს ფრიად სავალალოა, მაგრამ ასეთ ბედს ვერავინ გაექცევა. ამასთანავე ბედსაც თავისი იერარქიები აქვს. ყოფილი ბათუმის ოლქის ქართველი მუსულმანები იქვე ართვინის ვილაიეტში სცხოვრობენ. მაგრამ სად არიან არზრუმის, ვანის და მუშის სომხები?



## გენ. გ. კვინიტაძის წერილი

ერთი „ინტერვიუს“ გამო.

ჟურნალ „დამოუკიდებელ საქართველოში“ №142, „ინტერვიუს“ სახით დაბეჭდილია ბატონ X-ის წერილი, სათაურით „სიმართლის აღსადგენად“

„ინტერვიუს“ იძლევიან ვითომც ჩვენი ყოფილი მთავრობის მინისტრები. ინტერვიუს მიცემა ხდება პერსონალურად და მუდამ აშკარა აღნიშნულობით თუ ვინ, როდის და ვის აძლევს ინტერვიუს. აღნიშნულ „ინტერვიუს“ კი ყველაფერი საიდუმლოებით არის მოცული, რის გამოც პასუხის გაცემაც შეუძლებელი ხდება.

ამ წერილში ფაქტები ისეა დამახინჯებული და შეცვლილი, და იმდენი დემაგოგიურ წამოძახილია, მხოლოდ ქანდარისათვის განკუთვნილი, რომ ვერ მიფიქრია, რომ ეს ინტერვიუ მართლა ჩვენი მინისტრებისაგან იყოს მიცემული. არა მჯერა. აიხადეთ ნილაბი ბ-ნო X.

თან გულდასმით წაიკითხეთ 1921 წლის 27 მარტის დოკუმენტი, „კავკაზის“ წინა ნომერში დაბეჭდილი და შეუდარეთ თქვენ მიერ დაწერილ „ინტერვიუს“.

„ბრძოლის ხმაში“ ისევ დაიბეჭდა წერილები ჩემ წინააღმდეგ. ჩვენი გლახა ჭრიაშვილები ისევ თავიდგან იწყობენ.

მე უკვე ერთხელ ვწერდი ამ გაზეთის რედაქციის საგულისხმოთ და ეხლაც ვიმეორებ: როცა მე მიმტკიცებენ რომ ორი და ორი ხუთია ან ოთხნახევარი, მე კიდევ შემოძლიან ვამტკიცო, რომ ორი და ორი ოთხია. მაგრამ როცა მე მიმეორებენ რომ ორი და ორი კართოფილის სანთელია, მე უარს ვამბობ უმტკიცო რამე ხალხს, რომელსაც სამხედრო განათლება აქვს მიღებული, თუნდაც „ბრძოლის ხმის“ რედაქციაში.

გ. კვინიტაძე

## ირრილენტას გარუმო

ბატონ გრიგოლ დიასამიძის წერილი რედაქციის მიმართ

იმედი მაქვს, ბატონო რედაქტორო, ამოუშლელად დასტამბავთ თქვენს პატივცემულ ორგანოში ამ ჩემ ნაახლებ წერილს.

იმ დროს როცა იქ, ჩვენს მრავალტენჯულ სამშობლოში კაცობრიობის მტერი უწყალოდ მუსრავს საქართველოს საუკეთესო შვილთ, ხალხის შემოქმედების ნიჭიერ გამომსახველთ, აი, სწორედ ამ დროს აქაც უცხოეთში უეჭველად ვილაც ბოროტის წაქეზებით ემიგრაციის თვალსაჩინო წევრები ერთმანეთს მიჰსევიან და მსოფლიო ბელზებე-



ლის გულის გასახარებლად ერთმანეთს უდიერად ანადგურებენ. იქ ფიზიკურ-მორალური ტერორი, აქ ჯერ ჯერობით (თუმცა აქაც რამდენიმე ხნის წინად გავიღეთ ორი ასეთი მსხვერპლი) მარტო მორალური. განა გულსაკლავი არ არის, რომ ბექდვითი ორგანო, რომელიც თავის დანიშნულებით უნდა ისახავდეს ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის გაერთიანებულ სულისკვეთების განცხადებას, ნებას აძლევს თავის თავს სწორედ იმავე ნომერში („დამოუკიდებელი საქართველო“ დეკემბერი ნომ. 141), სადაც მოჰყავს ჯალათის სიტყვები, რომ საქართველოს ღირსეულნი შვილნი ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელი, ევგენ გეგეჭკორი, მიხეილ წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე მოლაღატენი და მოსყიდულნი არიან ფაშისტების მიერ, ჰბეჭდავს მასალას სხვა ღირსეულ ჩვენი თანამოდძეების ზურაბ ავალიშვილის, შალვა ამირაჯიბის, აგრეთვე მოსყიდულ პირებათ და გამცემლებათ გამოსაცხადებლად!

დავმშვიდდეთ ცოტა ხანს და ჩავუფიქრდეთ ამ ამბავს! განა სარჩული ერთი და იგივე არ არის? განა იქაც და აქაც ერთი ხელი არ ტრიალებს?!... მაგრამ მაშინ, როდესაც ჯალათის სიტყვა უკუსაგდებია და დევნილთათვის სასახელო, აქაურ ნებსით თუ უნებლიეთ მორალური ჯალათების სიტყვა, რომელიც უფრო კაცობრიობის მტრის შეთითხნილ „სახალხო ფრონტის“ ნაუბარს მოგვაგონებს. ანგარიშ გასაწე-ვია და მედგრად დასაგმობი. ამიტომ მამულიშვილურ ვალად ვრაცხ ჩვენი ორიოდე მოსაზრება ჩვენს მკითხველს მოვახსენოთ. პირადულ ნიადაგზე არასოდეს არა ვმდგარვართ, კალამი მრუდეთ არ გაგვიბრუნებია და ამის გამო გვსურს პირნათლად განვაცხადოთ, რომ ძალიან სცდებიან ისინი, რომელთაც ერთი საწადელი აქვთ — შეჰქმნან ხელოვნური საზოგადოებრივი აზრი ხალხში: რამდენიც არ უნდა ჰმალონ ჭეშმარიტება, ის მაინც მახათივით თავს გამოჰყოფს სადმე. შესცდენ ილია ბრძენის წინააღმდეგ დემაგოგიის მოწყობაში, შესცდებიან ახლაც და მუდამ ასე იქნება! ყოველი ნატყუარობა, ყოველი სიყალბე, გამოაშკარავებული იქნება. ვერ ეღირსებიან წამიერ გამარჯვებასაც.

ჭეშმარიტი საზოგადოებრივი აზრი იქ ვერ შესდგება, სადაც ოდნავ ძალდატანებაა, მატერიალური თუ ზნეობრივი. ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციაში განირჩევა რამდენიმე ნაწილი. ჩვენ არ ვანგარიშობთ უბრალო მკვიდრთ, რომელთაც აინტერესებთ კერძო მყუდრო ცხოვრება — ეს, რასაკვირველია, ლტოლვილების პირობებთან შედარებით. ერთი ნაწილია „ოფიციალური საქართველო“, რომელიც შესდგება რუსეთის პოლიტიკურ ნიადაგზე შექმნილ პარტიების წევრებისაგან და რომელსაც მეთაურობენ სოციალ დემოკრატი მარქსისტები. მეორე ნაწილი არის შემდგარი ძველი პარტიების ყოფილ წევრებისაგან, რომელთაც არ აკმაყოფილებს წინანდელი მუშაობა და ამიტომ სურთ თავის აქტიური მოქმედება საკმაოდ შეცვლილ კონიუნქტურას შეუფარდონ. ამ ნაწილში არ ვათავსებთ იმ სოციალ - დემოკრატებს, რომელნიც ბ-ნ ნოე ჟორდანიას ეწინააღმდეგებიან. ჩვენ ესენი





არ გვაინტერესებენ როგორც ცალკე ჯგუფი. მამულიშვილებთან ბრძოლაში ესენი ყოველთვის ან თავის წინანდელ ამხანაგებს მიემხრობიან ან უფრო რადიკალურად დაუწყებენ ბრძოლას. მესამე ნაწილში უნდა მოვათავსოთ ის მამულიშვილნი, რომელნიც ამ ჯგუფთა გარეშე სდგანან, ანდა სეირს შორიდან უცქერიან, ეგრედ ვსთქვათ, ნეიტრალობენ. ამ მესამე ნაწილში ეძებენ ხშირად მომხრეებს პირველი და მეორე აქტიური ნაწილები. ეს უკანასკნელნი, როგორც შეჭფერის ყოველგვარ ემიგრაციას, საპირადო მიზეზების მიხედვით კიდევ იყოფიან სულ პატარა ჯგუფებათ. ყველა ეს ართულებს ძალიან ჩვენს ემიგრანტულ პოლიტიკურ ცხოვრებას და საქმიანობას. ერთი „მოწოდება“, რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი, ამ დაქსაქსვას ქართველებისას უცხოეთში ასე ხსნის:

„საქართველოს დამოუკიდებლობამ ზედმეტად გახადა სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის არსებობა და სწორედ ამ პარტიის უცხოეთში მყოფი მოთავენი გახდნენ მენშევიკური მთავრობის უერთგულეს კარის კეცებად. ეროვნულ დემოკრატიული პარტია იმ შემადგენლობით, როგორც იგი უცხოეთში მოხვდა, არ იყო ამ მთავრობისათვის მისაღები და აი აქაც ჩვეულებრივ ხერხს მიმართა მან და მათგანაც კარის კაცები გაიჩინა... სექტანტური ჟინით შეპყრობილნი გააფთრებული დაეტაკნენ ქართველ პატრიოტებს. საუკეთესო მამულიშვილნი მოღალატეებათ იქმნენ გამოცხადებულნი და ქართველი ერის წინაშე დაბეზლებულნი. ამან სრულიად არია ემიგრაცია და მტრულ ბანაკებად დაჰყო.“

ასეა თუ ისე „ოფიციალურ საქართველოს“ წრიდან გამოსული ჯგუფი დაედო დვრიტად იმ კოალიციას, რომელმაც გააბედვინა მცხოვრებანი მეცნიერს თავის ჩვეულებრივად მეცნიერულად დასაბუთებული მოხსენება დემაგოგიურ მიტინგის პროლოგად გაეხადა. უცნაურია, მართალი უნდა ვსთქვათ, ამ კოალიციაში ყოფნა ერთი ფაშისტთა დარაზმულობისა, რომელსაც ჰმეთაურობს დინჯი ახალგაზრდა პიროვნება შალვა მალაკელიძე. ყველა მამულიშვილს ძალიან გეეხარდა, როცა მან თავის თანამშრომლებით ზურგი შეუბრუნა ყალბ მოძღვრებას კლასთა ბრძოლისას და ქართველ პატრიოტების გზაზე შესდგა. ქართველ მამულიშვილების დევნაში მათი მონაწილეობის მიღებას არ მოველოდით. ამგვარად შესდგა ეს კოალიცია, ამოძრავდა, აღშფოთდა და როგორც გვარწმუნებს „დამოუკიდებელი საქართველო“ „ერთსულოვნობაც“ გამოიჩინა. თუ რა ღირებულებისაა ეს „ერთსულოვნება“ ეს ამ გამოცემამ უჩვენოდაც კარგად უწყის. თუ ჩვენ განვიზრახეთ ყველაფრის გამორკვევა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ცხადად დავანახვოთ მიუკერძოებელ ნაწილს მებრძოლ მამულიშვილებისას, რამდენად ფრთხილად უნდა იყვნენ თავიანთ მოქმედებაში და როგორ სარგებლობს მტერი ჩვენი ეროვნული საქმისა ყოველი ჩვენი ბოროდით ჩვენი უმწიკვლო პოლიტიკოს - მოსაქმეთა გასაწბილებლად. მართლაც, თუ ეჭვი შევიტანეთ მათ გულწრფელობაში, მაშინ ვინლა დაგვრჩება საიმედო?! ისინი ხომ




არა, რომელიმე გარეგნული მყვირალა პატრიოტობით თვალს უხვევდნენ ზოგიერთებს თავიანთ საკუთარ, პირად საქმეების მოსაწყობად?! აღშფოთებულმა კოალიციამ ამნაირად მოაწყო მიტინგი, დაივიწყა კი, რომ დიდი ხანია მიტინგებს ფასი დაეკარგა და თუ ნააზრი გვინდა ფასობდეს, იგი უნდა ყოველმხრივ დასაბუთებული იყოს და ავტორიტეტულ - კომპეტენტურ პირთა მიერ ხელმოწერილი. მაშ მივმართოთ მიტინგის რეზოლუციას. აღსანიშნავია ყველაზე უფრო ბოლო. ეს ისეთი ნუგბარი რამ არის, რომ მკითხველმა დაგვიჯეროს, უნდა მთლად ამოვწეროთ:

„კრება აცხადებს, რომ ქართველი ერი დიდათ აფასებს თურქეთის რესპუბლიკასთან კეთილმეზობლურ განწყობილებას და ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს და სამართოდ კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რაც ორივე მხარის სასიცოცხლო ინტერესებს შეადგენს, ყოველი სადავო საკითხის გადაწყვეტა ამ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მეგობრულ და მშვიდობიანი გზითა და საშუალებით იქნება შესაძლებელი.“

ამგვარად ავტორნი რეზოლუციისა ჯერ ჰგულისხმობენ კავკასიის აღდგენას და მერე მშვიდობიანის გზით დავის მოწესრიგებას. ჰკითხონ თავიანთ თავს: როგორ შეიძლება აღდგენა თუ დაარსება კავკასიის სახელმწიფოს? თუ არ იმ საზღვრებში, რომელიც ახლა აქვს მას. რაც შეეხება თხოვნას და ხვეწნას ვინ იქნება ამის წინააღმდეგი? ეს უსუსური ქცევა მხოლოდ იმიტომ დასჭირდათ, რომ შეხლა-შემოხლა უფრო გააძლიერონ ემიგრაციაში და დამსახურებულ მამულიშვილთ დაუკარგონ გავლენა... მაგრამ ვის დააჯერებენ? მარტო იმათ, ვინც ისედაც სერიოზულ ბრძოლაში ჩასათვლელი არ შეიძლება იყოს. მადლობა ღმერთს ჯერ არავინ აწარმოებს მოლაპარაკებას საბოლოოდ არც ერთ მეზობელთან საზღვრების შესახებ. შინაურობაში დაწყებული ბაასი უნდა სწარმოებდეს დინჯად და გაულიზიანებლად. ვნებათა დელვა აქ მხოლოდ ჩვენს მტერთათვის არის სასარგებლო. ახლა მოვიყვანოთ იმ კავკასიელ პატრიოტთა აზრი, რომელიც ბ. ბამმატიასავით კავკასიელ მაჰმადიანობას ეკუთვნიან და რომელთაც თუ არა ვცდები „კავკაზზე“ ადრე გამოსთქვეს თავის შეხედულება საზღვრებზე. ბ-ნი მამედ-ემინ-რასულ ზადე, რომელიც შედის „ოფიციალურ საქართველოსთან“ ერთად ერთ ფრონტში, სწერს თავის ორგანო „კურტულუმ“, 1937 იანვრის ნომერში და ამავე „პრომეთეს“ ფრონტის მეორე ორგანო „სევერნი კავკაზს“ იმავე წლის მარტის ნომერში რასულ ზადეს წერილი მოჰყავს რუსულად: კავკასიის გაერთიანების საკითხი და დამოუკიდებელ კავკასიის კონფედერაციის იდეის განხორციელების საქმეში ჩვენსა და ქართველ მეზობელთა შორის არ არსებობს არავითარი უთანხმოება.. როგორც კავკასიელ ხალხთა გაერთიანების იდეოლოგიურ საფუძვლების მხრით, ისე კავკასიის კონფედერაციის ცნობილ აქტის იდეათა ტაქტიკურ საკითხების რეალიზაციის მხრითაც — ამ პაქტის ხელისმომწერ ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის სრული თანხმობაა მიღწეული. მებრძოლ





კავკასიას ჰყავს ერთი მტერი და ის იმყოფება ჩრდილოეთით, სამხრეთით ჩვენ გვსურს გვყავდეს მხოლოდ მეგობარნი. დამოუკიდებელ და ერთიან კავკასიის იდეის რეალიზაცია, ჩვენის რწმენით, როგორც თურქეთის, ისე ერანის ცხოველმყოფელ ინტერესებს.“

მკითხველი ხედავს, რომ ეს ძვირფასი მოწმობა არა მარტო „კავკაზის“ და „სევერნი კავკაზის“ იდეათა ერთსა და იგივეობას გვიმტკიცებს, არამედ იმასაც, რომ მთელი „ოფიციალური საქართველო“ ე. ი. სოციალ დემოკრატები, სოციალ ფედერალისტები, ნაციონალ დემოკრატები და, ნურავის ვაწყენინებთ — აგრეთვე სოციალისტ რევოლუციონერები, სწორედ ამავე აზრს აღიარებს. ახლა გავსინჯოთ, რა აზრისა არიან სამხრეთის საზღვრებზე „ოფიციალურ საქართველოს“ გარეშე მყოფი მეზობლნი. უნდა მოვახსენოთ ჩვენს მკითხველს, რომ გერმანიაში ახლანდელ რეჟიმის დამყარებისთანავე 1933 წელს, 10 ივნისს დაარსდა ეგრედ წოდებული „ქართველ ნაციონალისტთა“ ორგანიზაცია. როგორც „თეთრი გიორგის“ იმავე წლის სექტემბრის ნომერ 68-ში დასტამბულ ცნობიდან სჩანს დამაარსებელნი ყოფილან: მიხეილ წერეთელი, დავით ღამბაშიძე, შალვა ქარუმიძე, ოთარ წერეთელი, ალექსანდრე ნიკურაძე, მიხეილ კაჩუხაშვილი, რომან მკურნაელი, ტიტე მარგველაშვილი და სხვები. ამ ორგანიზაციაში მე არც წევრად ჩავწერილვარ და არც ისე მიმიღია მონაწილეობა — ჩემი პოზიცია ჯგუფთა გარეშე ყოფნაა და მერე ჩემი ჰასაკის გამო აქტიურ პოლიტიკაზე მსურს ყოველთვის თავი შორს დავიჭირო. ამიტომ მე შემიძლია სრულებით მიუკერძოვლად გამოვსთქვა ჩამი აზრი ამტყდარ აღიაქოთის შესახებ. „თეთრი გიორგის“ ამავე ნომერში დაბეჭდილია იმ ახლად დაარსებულ ორგანიზაციის „მოწოდება ქართველ მამულიშვილებისადმი“ (ხელს აწერენ, სხვათა შორის მიხეილ წერეთელი, დავით ღამბაშიძე, ტიტე მარგველაშვილი), რომელშიაც ნათქვამია საქართველოს დამოუკიდებლობის პოლიტიკის ოფიციალურ მესვეურებზე, რომ იმათ „ადერბეიჯანელთა მოწინავე წრესაც ჩააგონეს, რომ გამდგარ მემარჯვენე ქართველთა წრე შოვინისტია, ირრედეტას (უთუოდ ირედენტას — შენიშვნა ჩემი) წარმოება უნდათ და მათ, როგორც ოსმალებისა და თქვენს მტრებს ისე უყურეთო. მსგავსსავე მუშაობას სომხებთანაც აწარმოებენ.“ აი, ამონაწერიდანაც ცხადია, რომ საქართველოს ოფიციალური ემიგრანტული წრეები და ყველა შეფერვის ქართველი მამულიშვილები ნორმალურ მდგომარეობაში მყოფნი წინდახედულად და გონიერად „ირიდენტას“ შესახებ სიყუჩეს ამჯობინებენ. ასეა ყველგან. შეხედეთ ორად გაპობილი სხეული დიდი სახელმწიფოსი! როგორ იწვის და იდაგვის ყოველი მისი მამულიშვილი და აბა რას უნდა ჰგრძნობდეს ამ დროს მდუმარე მთელი ერის გრძნობის და ფიქრის გამომხატველი მისი სახელოვანი მესაქე! ეს არის სრული პოლიტიკური სიმწიფე ერისა!

მაშ რას აყაყანდა ხალხი? ემიგრანტული სენის ბრალია: დაინახეს მედგარი მუშაობა ერთი ენერგიული კაცისა, რომელიც მთელ თა-



ვის თავს და საღსარს მარტო სამშობლოს საქმეს ანდომებს. ეს კაცო ანაზდეულად ხომ არ მოგვევლინა?! მას ვიცნობთ დიდი ხანია. ჩვენ შეგვეილო მრავალი ნაბეჭდი ქება მოგვეყვანა მისი პიროვნების შესახებ. მაგრამ რა საჭიროა?! სხვის ქებას ან ძაგებას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ღირსეულ მამულიშვილისათვის, რომელსაც შეუძლია ლუი ბლანისავით სთქვას: „მისთვის ვისაც უყვარს ქეშმარიტება იმ სიყვარულით, რომლის ეს ღირსია, რას უნდა შეადგენდეს მთელი ქვეყნის ამხედრება, მეტადრე მაშინ, როცა ის ჰგოდნობს, რომ ეს ქვეყანა სცდება და სცრუობს. პატიოსან კაცს ეშინიან მხოლოდ თავი თვისისა“. ასეთივე არიან მისი უახლოესი თანამშრომელნი! რაც შემეხება მე, შორიდან მასალის მიმწოდებელს, კი არ მეთაკილება ამ საპატიო ჯგუფთან ყოფნა, არაედ მესახელება. „კავკაზი“ პრიმიტიული ორგანო ხომ არ არის! იგი დიდი პოლიტიკური დიაპაზონის ორგანოა. და არსების თავშივე კერძოდ მივესალმე, როცა გავეცანი პირველ ნომერს. ჩემზე ნუ სწუხან! კავკასია საფრთხეშია, მეტადრე ჩვენი საქართველო. დიდი მოფიქრება, შორსმჭვრეტელობა და გონება მახვილობა გვჭირდება ჩვენი საქმის მოსაწესრიგებლად. მიტინგები, ვნებათა ღელვის ატეხა არ გვიშველის... თმენა და რწმენაა საჭირო — ერთმანეთის შეგუება, თორემ ერთმანეთთან უღირს ბრძოლის დროს ვარცლიდან ნაბან წყლის გადაღვრის დროს თვით ბავშვი როგორმე არ გადავატანოთ..

გრიგოლ დიასამიძე

## ჩემს ბრალმდებელთ

ქართულ ემიგრანტულ წრეებში ჩემს წინააღმდეგ ორი თავდასხმა მოხდა. ერთი ეკუთვნის ბ-ნ ალექსანდრე მანველიშვილს, მეორე ჟურნალ „სამშობლოს“, რომლის ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ბ. ალექსანდრე ასათიანი ბრძანდება. ჟურნალ „სამშობლოს“ ის ნომერი, რომელშიაც ამოვიკითხე მე კონსპექტი იმ მოხსენების, რომელიც ვითომ მე ეროვნულ დემოკრატიული პარტიის აგვისტოს ყრილობაზე და რომელიც მე არ წამიკითხევს, გამოცემულია რამდენიმე თვის შემდეგ ამ ყრილობისა, და კონსპექტი ჩემის მოხსენების სწორედ ad hoc არის შედგენილი არა იმ მიზნით, რომ მკითხველისათვის მართლა ჩემი მოხსენების ნამდვილი შინაარსი გაეცნოთ, არამედ იმ ბინძურ კომპანიის გასამართლებლად. რომელსაც ჟურნალ „სამშობლოს“ რედაქტორი აწარმოებს „კავკაზ“ის რედაქტორ ჰაიდარ ბამატის წინააღმდეგ. მართალია, ჩემს მოხსენებაში აგვისტოს საზღიმო კრებაზე მე ვიხსენიებდი ბამატს, მაგრამ ვიხსენიებდი მხოლოდ და მხოლოდ ერთ ფრაზაში. „სამშობლოს“ წერილიდან გამოდის, თითქო ცენტრი ჩემი





მოხსენების ჰაიდარ ბამატის პოლიტიკური მუშაობა იყო 1918 წლის გარდა იმ სტრიქონების, რომელიც ჩემს მოხსენების შესახებ შეთხზულ კონსპექტში კოტე აფხაზს შეეხება, რამდენი სტრიქონიც არის იმდენი მასში სიცრუეა. ერთი, მე ჩემს მოხსენებაში სრულებით არ მიხსენებია სიტყვა ოსმალეთის აგენტი, მე ვამბობდი აფხაზ დელეგატების იმ ნაწილზე, რომელთაც ოსმალეთის ორიენტაცია ჰქონდათ აღებული და რომელნიც ჰაიდარ ბამატთან კონტაქტში იყვნენ; მე მხედველობაში მყავდა ალექსანდრე შერვაშიძე და ტატაშ მარშანია. რედაქცია გადმოგვცემს, თითქო მე მეთქვას — საქართველოს მმართველებმა მისი (ბამატის) მოლაღატეობრივი მუშაობა მეტად გვიან გაიგეს ან შეიძლება ბოლომდის ვერ გაიგეს, რადგან ის თავის აგენტად და თანამშრომლად მიანდათ და დიდ დახმარებას უწევდნენ. ჩემის აზრით ბამატი სრულებით უცნობი იყო მთავრობისათვის, მე არ ვიცნობ არავის, რომელსაც იმ დროს ბამატი ან აფხაზეთში ან საქართველოში ენახოს, ჩემთვის სრულებით ახალი ამბავია, რომ ბამატს საქართველოს მთავრობა დახმარებას უწევდა და საინტერესოა ჩემთვის ამის შესახებ დაწვრილებითი მასალების გაგება.

პირადათ მე ბამატის შესახებ აფხაზეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ვარლამ შერვაშიძემ მომაწოდა ცნობები. მისი ცნობებიდან მე მხოლოდ ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ბამატი ალექსანდრე შერვაშიძისა და ტატაშ მარშანიას მიმართ იგივე როლს თამაშობდა, როგორც ზურაბ ავალიშვილი ქართულ დელეგაციის მიმართ, ბამატი იყო დიპლომატ ექსპერტი მთიელების და მთიელთა პოლიტიკის საზოგადოთ აბხაზეთის მიმართ. მათ ცდას აბხაზეთის მთიელთა პოლიტიკაში ჩათრევისას ჩვენ სასტიკად ვებრძოდით. მე სრულებით არ დავინტერესებულვარ იმ დროს ბამატის მუშაობით. არავითარი საქმე მასთან ჩვენ არ გვქონდა. ჩვენ გვქონდა საქმე განსაკუთრებით ტატაშ მარშანია და მის შტაბთან მის სოფელ ჯგერდაში.

ინიციატივა აბხაზეთში ოსმალეთის ორიენტაციის გამარჯვებისათვის მუშაობის ეკუთვნოდა ტატაშ მარშანიას და ალექსანდრე შერვაშიძეს, აქტიური ნაბიჯი ამ მხრივ მათ მას შემდეგ გადადგეს, როცა აბხაზეთის თავად-აზნაურობით სათავეში ოჩემჩირეში მათ ვალიკო ჯუღელის გვარდიას ისეთივე პატივისცემით და აღტაცებით დახვდნენ, როგორც ძველად მეფეს ან მის მოადგილეს ხვდებოდნენ, ვალიკო ჯუღელმა კი მათ ასეთ პატივისცემისათვის უშვერის ლანძღვა გინებით უპასუხა და ამ რიგად იგინი კანონს გარეშე მყოფ მხეცებად გამოაცხადა.

იმათ იმავე დღეს დასტოვეს აბხაზეთი და ოსმალეთს გაეშურენ. ეს ოცი წლის წინად და დღეს ბ-ნი ალ. ასათიანი მე მოლაღატედ მთვლის იმიტომ, რომ არავითარ ანგარიშს მე დღეს ამ გარემოებას არ უწევ და ვცდილობ ბამატის ორგანოში კულტურული მუშაობა ვაწარმოვო. მხოლოდ იმ დროს, როდესაც აბხაზეთის ამბები გუშინდელი დღის საქმე იყო, როცა ტატაშ მარშანია ტყეში იმალებოდა აბხაზეთში არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, მისთვის მისი დანაშა-



ულის პატიებას ხელს უწყობდა ბ. ალ. ასათიანი. ტფილისში ტატაშ მარშანია მის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. მე თვითონ ვიყავი მოწმე იმ მოლაპარაკების, როდესაც ალ. ასათიანმა ტატაშ მარშანია ჯოტო შერვაშიძის ოთახში შემოიყვანა თბილისში სასტუმრო „ორიანში“ პოლკოვნიკ თუხარელთან მოსალაპარაკებლად და შესარიგებლად. ამას მე იმისათვის კი არ ვწერ, რომ მე ალ. ასათიანს უსაყვედურო. არც მაშინ მისაყვედურებია მისთვის ეს, მიუხედავად იმისა, რომ ტატაშ მარშანიას მიერ შედგენილ სიაში მე ვიყავი ერთი პირველთაგანი, რომელიც მის მიერ სუხუმის აღებისას სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

თუ მე „სამშობლოს“ სიტყვით ბამატს „ავეკიდე“, სჩანს, რომ მე მის ორგანოს ობიექტიურად გავეცანი და დავასკვნე, რომ ქართველ პატრიოტისათვის სრულებით არაა დასაგმობი მასში თანამშრომლობა. იქნება ბ. ასათიანს მე თურქოფილი ვგონივარ? ასეთი იდეა, მაღლობა ღმერთს, ჯერ არავის დაბადებია. ჩემს პოლიტიკურ კონცეპციებს მე ვაგებ ქართველ ერის სიყვარულზე და არა მიწიერ ვნებათა ღელვაზე ან ღვარძლიანობაზე, ასეთ დაბალ ხაოისთის გოდხობებზე პოლიტიკის აგება მე დანაშაულად მიმაჩნია. თუ ჩემს წინააღმდეგ თურქოფილობის ბრალდება არავის წამოუყენებია, ბ-ნ ასათიანის პარტიაზე ამის შესახებ ძალიან სერიოზული იქვი ტრიპლებდა ქართულ პოლიტიკურ წრეებში. ასათიანს თვით ემიგრაციაში გამოცემულ მის წიგნში სერიოზულად უხდება თავის მართლება თურქოფილობის ბრალდებისაგან. საქართველოში კი მე თვითონ ვიყავი მოწმე, როცა ერთმა ქართველმა პატრიოტმა საჯაროდ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ლიდერს ს. კედიას ბრალდება წაუყენა ქ. ბათუმის ოსმალეთისგან დაცვის საბოტაჟში. რასაკვირველია, ამ ბრალდებათ ისეთივე ღირებულება ქონდა, როგორც ორგანო „კავკაზი“ს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას თურქოფილობისას.

ბ. ასათიანი მაწერს მე, თითქოს მე მეთქვას, ოსმალეთის „აგენტთა“ წინააღმდეგ მთელი ბრძოლის სიმძიმე დაატყდა აბხაზეთის ეროვნულ დემოკრატებს. უმეტესობა ვინც ამ ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდნენ და მათ შორის თავმჯდომარე აბხაზეთის საბჭოსი ვარლამ შერვაშიძე და ამ სტრიქონების დამწერი, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ვირიცხებოდით. ჯოტო შერვაშიძე, როგორც ეროვნულ დემოკრატი არავითარ აკტივობას არ იჩენდა, ვინაიდან ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელთ არც სცალოდათ აბხაზეთისათვის, აბხაზეთი მათ სრულებით უყურადღებოთ ჰქონდათ დატოვებული და თბილისში ოპოზიციონერობას თამაშობდნენ. ჯოტო შერვაშიძე მუშაობდა როგორც ჯ. შერვაშიძე და არა როგორც ეროვნულ დემოკრატი.

რა იყო ჰაიდარ ბამატის მიზანი, როცა ის 1918 წელს ოსმალეთში პოლოტიკურ მუშაობას ეწეოდა და აბხაზ თურქოფილებთან კავშირს აბამდა? ერთის შესახებ მე ვაგებ პასუხს, მისი ამოცანა იყო ეხსნა თავისი ერი იმ ხიფათისაგან, რომელშიაც კავკასიის ფრონტის დაშლამ მთიელნი ჩააყენა. ოსმალეთთან ხომ ბათუმამდისაც სწარმოებდა მოლაპა-





რაკება და მე არ ვიცნობ არც ერთ ფაქტს, რომელიც მოწმობდეს იმას, რომ ჰაიდარ ბამატი ამ დროს ქართველ დიპლომატიისათვის, რომელიც იმავე დროს იყო ამიერ კავკასიის დიპლომატია, ხელი შეეშალოს. თუ არსებობს ამის საწინააღმდეგო რამე მასალა, კეთილ ინებონ და გამოაქვეყნონ.

ბ. ალექსანდრე ასათიანის პიროვნება ჩამოყალიბდა ფუქსავატურ პარტიულ და ფრაქციულ პოლიტიკურ ბრძოლისა და ინტრიგების ატმოსფეროში. ევროპაში ხანგრძლივ ცხოვრების დროს, ის სულ მუდამ ამ ჭაობში სცხოვრობს და სრულებით არ სცდილა შეეთვისებია სტილი სერიოზულ, ევროპიულ პოლიტიკურ აზროვნების. ამიტომ მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია პოლიტიკის აგება იმაზე, რაც 20 წლის წინად მოხდა. მან სრულებით არ იცის, რომ სერიოზული პოლიტიკოსები სცდილობენ პირ იქით, თვით დღევანდელ მოწინააღმდეგეებთან კავშირი გააბან და მათთან საერთო ენის გამოძებნა მოახერხონ. მეთოდოლოგიას ამ პოლიტიკისას მე შევეხები მაშინ, როცა ბ-ნ მანველიშვილის კონცეპციების გარჩევას შეუდგები, ეხლა კი გავაგრძელებ ბ-ნ ასათიანის პოზიციის შესახებ მკითხველთან საუბარს.

ბ-ნი ალ. ასათიანი მე მოლაღატედ მაცხადებს იმისათვის, რომ მე ქართველი საზოგადოებრივობა მკვდრად გამოვაცხადე. თუ მე ეს ჩავიდინე, და ჩავიდინე სრულიად შეგნებულად და ბ. ასათიანი ამით აღშფოთებულა ეს იმიტომ, რომ ჩვენ ორივეს სრულებით ერთი მეორის საწინააღმდეგო ინტერესები გვაქვს ამ საკითხში. მე ვიყავი დაინტერესებული, რომ ქართული საზოგადოებრივობა არ მომკვდარიყო, ჩემის, სამწუხაროდ ძლიერ სუსტის ძალით მე ვებრძოდი ამ სიკვდილს და როცა იგი ფაქტი იქცა მე ვიბრძოდი მის მკვდრეთიდ აღდგომისათვის. ბ-ნ ალ. ასათიანი კი დაინტერესებული იყო მის სიკვდილში. ამას მოითხოვდა მისი კარიერის ინტერესები, მხოლოდ ამავე დროს უნდოდა, რომ მისი ლაშქარის ემპირიულ შეგნებაში იგი როგორც ცოცხალი ყოფილიყო წარმოდგენილი. მართლადაც რა ჰკლავს საზოგადოებას? აშკარაა, არა კეთილსინდისიერება, ეგოიზმი და სულმდაბლობა ხელმძღვანელი წრეების. იმ წერილს, რომელშიაც „სამშობლოს“ რედაქცია, ე. ი. ალ. ასათიანი მე მეხება, ეწოდება საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საზღვარ გარეთის ორგანიზაციათა ყრილობა. ნამდვილად კი აქ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა კი არ იყო, არამედ მისი ერთი ფრაქციის, რომელსაც ალ ასათიანი ხელმძღვანელობდა. მაშასადამე სცრუობს ასათიანი, როდესაც იგი ამ თავის ფრაქციის ყრილობას მთელი პარტიის ყრილობად აცხადებს. მაგრამ არის მასში კიდევ მეორე, ბევრად უარესი სიცრუე: ნამდვილად იქ ყრილობას კი არ ჰქონდა ადგილი არამედ თავმოყრას, მას, რასაც რუსები „სვოზს“ ეძახიან. ეს მე კეთილსინდისიერად უნდა ვაღიარო, მიუხედავად იმისა რომ მასში მეც ვმონაწილეობდი. ის პირები, რომელთაც ბ-ნ ასათიანმა პარიზში თავი მოუყარა და რომლებშიც ამ სტრიქონთა დამწერიც იყო, ისეთივე როლს თამაშობდნენ ასათიანის კომბინაციებისათვის, როგორც



მკვდარნი სულნი გოგოლის ჩიჩიკოვისათვის, ე. ი. ისინი იყვნენ ბრმა იარაღნი ასათიანისათვის მის მხოლოდ და მხოლოდ პირადი კონსერვაციის პოლიტიკაში. მას უნდა ეჩვენებია მის ხაზენ ნოე ჟორდანიასათვის, რომ მას ლაშქარი ყავს, რომ იგი ანგარიშ გასაწევ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. რომ მართლა ეს ყრილობა ყოფილიყო, მაშინ მისი დადგენილებანი სავალდებულო უნდა ყოფილიყო ასათიანისათვის, ნამდვილად, არც ერთი მისი დადგენილება მან არ შეასრულა. ბ. ასათიანმა უპირველეს ყოვლისა საზეიმო კრება გამართა, ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის 20 წლის თავის სადღესასწაულოდ. ელემენტარული კეთილსინდისიერება მოითხოვდა, რომ ამ საკითხში იგი სხვა ჯგუფებთან შეთანხმებულყო და წინასწარ შედგენილი გეგმით უნდა მომხდარიყო საერთო ძალის მანიფესტაცია. ეს უნდა ყოფილიყო მართლა მანიფესტაცია ქართულ საზოგადოებრივობის. ის რაც ჩემმა თვალებმა დაინახეს იმ დღეს, იყო მანიფესტაცია უტვინობის და არარაობის.

მე მოვესწარი იმ ეპოქას ქართული სინამდვილის, როდესაც მართლა ქართველი საზოგადოებრივობა არსებობდა. მოვესწარი მის საუკეთესო ეპოქას, ეპოქას ილია ჭავჭავაძის საქართველოისას. ყრილობანი რომელნიც იმ ხანაში იმართებოდა, შეჯიბრებას გამოცდილების, ცოდნის ტალანტის. ქანდარებში იმყოფებოდნენ მრავალი მოწაფენი, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ უფროსთა მოღვაწეობას და სწავლობდნენ ტექნიკას ამ მოღვაწეობის. მე მინახავს იმ დროის მოწინავე მოწაფეთა კრებანი. აი თვით ამ მოწაფეთა კრებანი და ყრილობანი ბევრად უფრო სერიოზულ და საფუძვლიან მოვლენას წარმოადგენდა ვინემ, უკაცრავად პასუხია ასათიანის „ყრილობა“. იმ დროს მოწაფეებმაც იცოდნენ, თუ რა განსხვავება არსებობს ყრილობის ანგარიშსა და ყრილობის შესახებ დაწერილ კორესპონდენციას შორის. ყრილობის ანგარიში ყრილობის მიერ უნდა ყოფილიყო დამტკიცებული, თუ ეს არ შეიძლებოდა, მაშინ თვით წარმოთქმული სიტყვების კონსპექტი ავტორების მიერ უნდა ყოფილიყო შედგენილი და სექრეტარიატში გადაცემული. ბ-ნი ასათიანი ბეჭდავს „ყრილობის“ შესახებ ანგარიშის სახით მის მიერ შეთხზულ კორესპონდენციას და ჩემს სიტყვაში ნიშანში ღებულობს მის მიერ ათვალწუნებულ პიროვნებას. იქ, სადაც ელემენტარული მორალი არსებობს, პიროვნებაზე თავდასხმას სხვის სახელით ადგილი არა აქვს.

თუ მე ამ „ყრილობაში“ მონაწილეობა მივიღე, ეს იმიტომ რომ ჩემი სურვილი იყო, რომ აღდგენილიყო მთლიანობა იმ დროის, რომელიც კოტე აფხაზის სისხლით არის შეღებილი. რომ შექმნილიყო მეორე რეალობა, რეალობა კონსტრუქტიული, ანტიმარქსისტული, ე. ი. მკვდრეთით აღმდგარიყო ქართველი საზოგადოებრივობა. ვინ შეუშალა ამას ხელი? მხოლოდ და მხოლოდ ასათიანმა. მან მისი პირადი ინტერესები საზოგადო ინტერესებზე მალლა დააყენა. რომ განმტკიცებულიყო მთლიანობა ეროვნული ფრონტის და ნორმალურ ორგანიზაციულ ფორმებში ქვეყნის საკეთილდღეო საკითხების გადაჭრა, საჭირო






იყო ალ. ასათიანის მიერ მარქსისტული ფრონტის დატოვება. ყველამ წამოუყენა მას ეს მოთხოვნილება, რა ჰქნა მან? მისი ლაშქარის მოსატყუებლად მან ცრუ მოთხოვნილება წამოუყენა მარქსისტებს მეორე ინტერნაციონალიდან გამოსვლის, იმ დროს როცა მისთვის ბევრად უფრო ადვილი და სავალდებულო იყო ამ მარქსისტულ ფრონტიდან, მაშასადამე ფაქტიურად მესამე ინტერნაციონალის ბლოკიდან გამოსვლა. რაც მის მომხრეთა ერთმა ნაწილმა მას სთხოვა — მოთხოვნილება მარქსისტების მიერ მეორე ინტერნაციონალიდან გამოსვლის ულტიმატუმად ექცია და იგი ორგანოში გამოექვეყნებია, ასათიანი ამ თხოვნას გაექცა და დივერსიისათვის გასწია კამპანია ორგანო „კავკაზი“ს რედაქტორისა და მის თანამშრომელთა წინააღმდეგ. რა მოსაზრებით?

როდესაც მე პარიზში ვიყავი, მე „კავკაზის“ მიმართულებას არ ვიცნობდი. არც ერთი მისი ნომერი მე წაკითხული არ მქონდა. მე გადავწყვიტე მისი გაცნობა მაშინ, როცა ერთ ქართულ რესტორანში მე მოწმე გავხდი მენშევიკებისა და ნაციონალისტებს შორის საუბრის „კავკაზი“ს შესახებ. მენშევიკები მათთვის ჩვეულის ცბიერებით ეუბნებოდნენ ნაციონალისტებს, თქვენ მემარჯვენეებმა უნდა იკისროთ მათ წინააღმდეგ ბრძოლაო. მას შემდეგ მე სისტემატიურად ვკითხულობ ამ ორგანოს და ვერ ვნახე მასში ერთი აზრიც, რომელიც ნაციონალისტებისათვის მიუღებელი იყოს, ყოველ შემთხვევაში აღმაშფოთებელი. როდესაც შემდგომს სოჭოში ა. ასათიანის თანამშრომელი ელისე პატარძე ჩამოვიდა, ჩვენ მასთან თათბირი გვქონდა. ამ თათბირში ასათიანის საუკეთესო მეგობარნი ლებულობდნენ მონაწილეობას. ჩვენ გადავწყვიტეთ და შეუთვალეთ ასათიანს, რომ არ აეტეხა კამპანია „კავკაზის“ წინააღმდეგ, ვინაიდან ამ კამპანიაში მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკები იყვნენ დაინტერესებულნი. ასათიანმა ამ რჩევას არავითარი ანგარიში არ გაუწია, მიუხედავდ იმისა, რომ თათბირში ორი საბჭოს წევრიც ლებულობდნენ მონაწილეობას. თუ იგი ამ აზრს არ ეთანხმებოდა, საბჭოს სხვა წევრებს მაინც უნდა შეკითხებოდა, მაგრამ ალ. ასათიანი არასოდეს ანგარიშს არ უწევდა საზოგადოებრივ აზრს, პარტიულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მისთვის მხოლოდ ერთად ერთი კანონი არსებობდა, მისი საკუთარი თვითნებობა და ამას იგი პრინციპების დიქტატურას უწოდებს. რომ ასათიანმა „კავკაზის“ და მისი თანამშრომლების წინააღმდეგ საზიზღარი, წმინდა ავლაბრული ხასიათის კომპანია გასწია, ეს სრულებით ბუნებრივია: აქ მუშაობს მათემატიკის რკინისებური კანონი, რომ თუ ორი ხაზი მესამე ხაზთან პარალელური არიან, ისინი ურთი ერთ შორისაც პარალელური არიან. მეორე ინტერნაციონალი ამაგრებს მესამე ინტერნაციონალს, ე. ი. ბოლშევიზმს, ნოე ჟორდანიას არის მეორე ინტერნაციონალის წევრი, ასათიანი არის ჟორდანიას თანამშრომელი. აქ ლოდიკა ნათელია, და ასათიანის მუშაობა ამ ლოდიკიდან გამომდინარეობს.

როდესაც ასეთი ადამიანი, მეორე-მესამე ინტერნაციონალის, ე. ი. სოციალისტურ-კომუნისტურ ორიენტაციის სფეროში მომუშავე ჩემს






ლალატზე ლაპარაკობს, ეს უკვე წრეს გადასულ კადნიერებას წარმოადგენს. და როდესაც ქართველი საზოგადოება ხელს უწყობს ამ ადამიანის ბინძურ რეზოლუციას, მაშინ უფრო მეტის საბუთით შეიძლება ასეთ საზოგადოებაზე ითქვას ის რაც სოციალ-კომუნისტური თარეშის დროს პარიზში ერთმა სახელმწიფოს მეთაურმა სთქვა — პარიზი მოსკოვის ფილიალური განყოფილება არისო.

ავლაბრული დემაგოგიით უსისინებს საზოგადოებას ისეთ სასიქადულო ქართველ პატრიოტის წინააღმდეგ როგორც არის ზურაბ ავალიშვილი, ე. ი. ასრულებს იგივე როლს, რომელსაც 1905 წელს ილია ჭავჭავაძის მიმართ ფილიბე მახარაძე. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის დროშა, კოტე აფხაზის სისხლით შეღებილი, ალ. ასათიანის ხელში ტალახში იქმნა ამოსვრილი; იმედი იმისა რომ დამშლელ რეალობას ქართველები დაუპირდაპირებენ გაერთიანებულ სერიოზულ ანტიკომუნისტურ რეალობას, იქმნა სავსებით გაქარწყლებული.

რასაც ბოლშევიკები საქართველოში თავის მხეცურ პოლოტიკით აღწევენ, იმას ემიგრაციაში მენშევიკები თავის ფლიდ პოლიტიკით ახერხებენ, ისინი ანადგურებენ ქართველ ინტელიგენციას, რყენიან რა მას მორალურად. მე არ ვფიქრობ, რომ ერთი შთამომავლობის ხანა შესძლებს ამ მდგომარეობის გამოსწორებას.

ვ. ემუხვარი

(გაგრძელება იქნება.)



## თურქ-თათართა გამოღვიძება

საჭირო ინტერმეცო.1)

თურქ-თათართა ხალხების გამოღვიძების შესახებ ჩვენ მიერ დაწვებულ მოკლე განხილვის დასასრულებლად, საჭიროა ორი ფრიად ფაქიზი საკითხის გაშუქება, რომლებიც ნამდვილი ნევრალგიურ პუნქტს წარმოადგენენ საერთაშორისო პოლიტიკაში: კავკასია და ყირიმი. მაგრამ დღეს ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, სანამ მათ განხილვას შეუდგებოდეთ, ინტერმეცო ჩაურთოთ გასაშუქებლად.

ჩვენ მიზნათ დავისახეთ დავამტკიცოთ, რომ იტალია — ოსმალეთის მეგობარი, იმავე დროს მეგობარია თურქ-თათარ ეროვნებათა, რო-

1) წინამდებარე წერილი დაიბეჭდა იტალიის ნახევრად ოფიციალურ ჟურნალში „კორიერე დიპლომატიკო ე კონსოლარე“, და ეკუთვნის დეპუტატს და ცნობილ იტალიელ ორიენტალისტს, დამონებულ ერთად მეგობარს დოქტორ ენრიკო ინსაბატოს. ვბეჭდავთ, როგორც წერილს, რომლის შინაარსი საქართველოს საქმეებს ფრიად ახლო ეხება.

რედ.





მელთა ხვედრი უნდა იყოს, სულ ახლო მომავალში, როდესაც ბოლშევიზმი დაინგრევა, საერთაშორისო სცენაზე პირველხარისხოვანი როლი ითამაშონ.

იტალიის ინტერესია და ეს მისი მოვალეობაც არის, რომ ამ ორი დიდი ერის გამოღვიძების საქმეში სრულ ჰარმონიასა და თუ შესაძლებელია, გულითად თანამშრომლობაშიც იყოს იმ სახელმწიფოებთან, რომელნიც ამ საკითხში ყველაზედ მეტად არიან პირადათ დაინტერესებულნი, ე. ი. ოსმალეთ - სპარსეთ - ავღანისტანთან და აგრეთვე იაპონიასთან, რადგან, როგორც ამის შესახებ ჩვენ უკვე წასულ ნომრებში ვწერდით, ამ იმპერატივულ ერს ბოლშევიზმის დამხობა მხოლოდ იმ 48 მილიონ მუსულმანთა (ოფიციალურ ჩინურ სტატისტიკის მიხედვით) შემწეობით შეუძლია, რომლებიც დღეს ჩინეთსა და ჩინურ თურქესტანში სცხოვრობენ და რომლებიც ხსნის დედა ბოქს წარმოადგენენ იმ 20 მილიონ მუსულმან თურქ-თათრებისათვის, ვინც ჯერ კიდევ მომწყვდეულნი არიან ს.ს.რ-ის რასათა და ერთა სატუსალოში.

როგორც ეტყობა, იაპონია ყველაზე მეტად სწორედ ამ იდეის განხორციელების გზას ადგია, თუ რომ ის ამბავი, რომელიც პეკინიდან მოვიდა, გამართლდა და რომლის მიხედვით ტოკიო დღეს 50 მილიონ ჩინეთის მუსულმანობას ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ამზადებს.

მაგრამ მარტო ერთი ჰიპოტეზაც კი იტალიის შესაძლებელი თანამშრომლობისა საადაბადის ხელშეკრულების ხელისმომწერ სახელმწიფოებთან — საკმარისი გახდა, რომ პანიკა გამოეწვია, როგორც საბჭოთა რუსეთში, ისე ინგლისში, და დღეს ჩვენ ვხედავთ როგორ ამოძრავდნენ სხვა და სხვა ნაირი სახალხო ფრონტების, ფრამასონების, მეორე ინტერნაციონალის, დიდი ბანკების და ბოლშევიზმის ყველა ჯურის მექანიზმები, იმ ხიფათის თავიდან ასაცდენად, რომელიც უნდა მოჰყვეს იტალია - ოსმალეთ - სპარსეთის შეთანხმებას.

ოფანზივა დაიწყო საბჭოთა დიპლომატიამ, გააბრუა რა ოსმალეთი ყალბი ცნობებით და თავის მოკატუნებით ეგრეთწოდებულ იტალიის მიზნების გამო დოდეკანოსში; შემდეგ იგი განაგრძო ინგლისმა, შესთავაზა რა ოსმალეთს ფინანსიური შველა და დახმარება, და მოაწყო რა, ეტყობა საბჭოებთან შეთანხმებით, ისეთი პატარა ოინები იტალიის უხერხულ მდგომარეობაში ჩასაყენებლად, როგორიც არის, მაგალითად ჩვენ მიერ უკვე განხილული ოინი და რომლითაც ლონდონი შეეცადა ჩაეტყუილებინა იტალია ისეთ საქმეში, როგორიც არის რალაც ფანტასტიური სომხურ-ქართული უნიონის დახმარება, რომელსაც არამც თუ მარტო ოსმალეთი, არამედ მთელი კავკასიის, სპარსეთის და ერაყის მუსულმანობა ზიზლით უყურებს.

ამ ჟამად სუ ლსხვა ოფანზივასა აქვს ადგილი, რომელიც უფრო ხერხიანადაა მოწყობილი: ეს ოფანზივა გამოიხატება გაიძვერულად შედგენილ მემორანდუმში, რომელიც, როგორც ეს მტკიცდება, პარიზში მცხოვრებმა ქართულმა მთავრობამ წარუდგინა ან წარუდგენს გე-



რმანიის, პოლონეთის, იაპონიისა და იტალიის მთავრობებს. თავის დროზე ამ მემორანდუმს კომენტარს გაუკეთებთ და საფუძვლიანად განვიხილავთ. ამ მემორანდუმში ოსმალეთს აბრალებენ მთელი კავკასიის იმპერიალისტური დაპყრობის სურვილს, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყვეს ყველა ქრისტიან ქართველთა განადგურება. ჩვენ დავინახავთ, როცა მას განვიხილავთ, თუ რა მიზნით ჰყრიან ამ ხმებს, რომლებიც ფრიად წააგავან იმ კორებს, რომელთა საშუალებით აქამდე იტალიას აბრალებენ თითქოს მას მთელი მცირე აზიის დაპყრობის გეგმა ჰქონდეს შედგენილი! მაგრამ ჩვენ უნდა განვაცხადოთ როგორც ძირითადი პრინციპი, რომ თუ ეს მემორანდუმი მართლა ნოე ჟორდანიამ შეადგინა, ან სურდა შეედგინა ექსორიაში მყოფ ქართულ მთავრობის მეთაურს, მას ვერც ერთი ფაშისტური სახელმწიფო მხედველობაში ვერ მიიღებს. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს ნოე ჟორდანიას პატრიოტიზმაში, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ვაღვიაროთ, რომ ის — ნოე ჟორდანია — ეკუთვნის მეორე ინტერნაციონალს და იგი არას დროს არ გამოსულა აშკარა და უდავო განცხადებით მის წინააღმდეგ, არა მარტო მაშინ, როცა ამას მისგან მრავალგზის მოითხოვდნენ, არამედ მაშინაც, როდესაც მეორე ინტერნაციონალი აშკარად ბოლშევიკურ სახალხო ფრონტს შეუერთდა.

2). რომ მან ყალბად უნდა გამოაცხადოს და დაასაბუთოს კიდევაც ის საყვედური, რომელიც გაისმის მის მიმართ, იმის გამო, რომ 1918-ს მაისის ისტორიულ სხდომაზე, თბილისში, რომელმაც ხანგრძლივი კამათის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დაადასტურა, მან, ჟორდანიამ ამ დადგენილების გამო რეზერვი გააკეთა და მოითხოვა, რათა პროტოკოლში შეეტანათ, რომ ის ამ დადგენილების წინააღმდეგი იყო.

და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორი მთავარი პუნქტი იქნება ნათლად გაშუქებული, შეიძლება მოხდეს ამ დოკუმენტის კეთილსაიმედობის ღირსეული შეფასებაც.

დოქტორი ენრიკო ინსაბატო

## მენუევიკური პროპოზაცია

(წერილი რომიდან.)

ამას წინათ რომში ჩამოვიდა ვინმე ჩიხლაძე, რომელმაც ჩამოსვლისთანავე მიიღებინა ბ-ნ ივანიცკი - ინგილოსთან. ამ შეხვედრამ ეს იშვიათად სანახავი კაცი სრულიად გამოსცვალა. ბ-ნი ინგილო უცბად დატრიალდა, და სად არ გინდა მკითხველო, არ გენახა ის ჩიხლაძის თანხლებით. ხმები დადიოდა, რომ ბ-ნი ინგილო თავის სტუმარს სამინისტროებში დაატარებდა და თან რაღაც საიდუმლო ქალაქი დაჰქონდათ. არ გასულა ბევრი ხანი, და რომს ეწვია, ეხლა ბელგიიდან, (ბ-ნი ჩიხლა-





დე თურმე პარიზიდან ჩამოსულა), ვინმე ცაგურია, რომელსაც ჩვენი მკითხველები „კავკასია“ ნომ. 8 მოთავსებულ წერილიდან უკვე კარგად უნდა იცნობდენ. ბ-ნ ცაგურიას ჩამოსვლამ და მისმა უცაბედმა უკან დაბრუნებამ — ის აქ მხოლოდ ორიოდ დღე დარჩა — უფრო გაართულა აქ ბ-ნ ჩიხლაძის ჩამოსვლით შექმნილი მდგომარეობა. მაგრამ ამ საიდუმლოს მალე ფარდა აეხადა. გამოიჩინა, რომ ბატონი ინგილო რალაც მემორანდუმს დაატარებდა სამინისტროში გადასაცემათ, რომელიც მისთვის გამოეგზავნა მენშევიკურ მთავრობას. და ხმები დადიოდა, რომ ეს მემორანდუმი გადაეცა ვილაც დიდ თანამდებობის მოხელეს. ამ მემორანდუმს თურმე განმარტებითი წერილიც თან ახლავს.

ბედნიერის შემთხვევით იმ ისტორიულ მემორანდუმის ასლი ხელში ჩამივარდა, და მგონი ჩვენი მკითხველები დაინტერესებულნი იქნებიან, თუ რა ახალ ოინებს აწყობენ ჩვენი ვაჟ-ბატონი მენშევიკები და თურმე რანაირად სურთ საქართველოს დახსნა. მემორანდუმი შეიცავს ექვს ფურცელს ფრანგულ ენაზე საწერ მანქანით დაწერილს. საყურადღებოა მემორანდუმის წარწერა: „კავკასია და სათათრეთი“. მკითხველი აქედან უკვე ჩახვდება, თუ რა აქვთ მენშევიკებს მიზანში ამოღებული. ეს მემორანდუმი, როგორც ბ-ნ ცაგურიას უთქვია აქ, თურმე იმავე დროს გაუგზავნიათ გერმანიის, იაპონიის და პოლონეთის მთავრობებისათვისაც. გესმის, მკითხველო, თუ რა სურვილი აქვთ ბ-ნ მენშევიკებს? მეორე ინტერნაციონალი აღარ ჰყოფნით, ეროვნულ ქურქს ისხამენ და ფაშისტურ ქვეყნებთან სალოცავად მიდიან, ეგების იქაც თბილი ბინა ვიპოვნოთო. ამავე დროს კი თავიანთ ჟურნალ გაზეთებში ფაშისტების წინააღმდეგ ყვირილით და გინებით ქვეყანას აყრუებენ. მაგრამ როგორც სხვაშიაც აქაც სცდებიან ჩვენი მენშევიკები. ფაშისტური ქვეყნები არც ისე უვიცინი არიან, რომ მტერი მოყვრისაგან ვერ გაარჩიონ.

მაგრამ დაუბრუნდეთ მენშევიკების მემორანდუმს. მათი ჩვეულების დაგვარ ეს მემორანდუმი სავსეა ტყუილებით, და ისტორიული ფაქტები ისე მარდათა აქვთ შეტრიალებული, რომ საქმეში თუ არ ხართ კარგა ჩახედული, დაიჯერებთ. სამწუხაროდ საშვალეა არ გვაქვს — უადგილობის გამო — მთელი მემორანდუმი მოვიყვანოთ აქ; დავჯერდებით მხოლოდ მთავარ პუნქტებს, რომელიც ახასიათებს მას. ჩვენ გვსურს ერთხელ კიდევ გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე მენშევიკების ოინბაზობა და ინტრიგანობა და დავანახვოთ მკითხველს, თუ რა ახალ განსაცდელს უმზადებენ ეს ვაჟბატონები ჩვენს ისედაც წამებულ ქვეყანას. ერთი მტერი თურმე არ გვყოფნის, ეხლა მეორეც უნდა გაგვიჩინონ, რომ ორ ცეცხლში უფრო ადვილად მოსპონ საქართველო და ქართველი ერი.

მემორანდუმი პირველ სამ ფურცელზე განიხილავს ისტორიულ მოვლენებს მე-19-ე საუკუნეში. თუმცა აქ ბევრი ისტორიული სიმრუდეა მოყვანილი, მაგრამ დანარჩენთან შედარებით უმნიშვნელოა და ამიტომ არა ღირს მასზე ლაპარაკი. ეხება რა ჩვენს საუკუნეს მემორანდუმი განაგრძობს:



„1917 წელს რუსეთში იფეთქა დიდმა რევოლუციამ. სამმა კავკასიის ერმა შეჰქმნა ერთი დამოუკიდებელი, ფედერატიული სახელმწიფო. ჩრდილოეთ კავკასია ამ ფედერაციას მალე უნდა შეერთებოდა. რუსეთი განდევნილი იყო კავკასიიდან, რომელიც ისევ მე-19-ე საუკუნის წინანდელ მდგომარეობაში მოხვდა.

მოსალოდნელი იყო, რომ ენვერის და ქემალ ფაშის სათათრეთი ამ ახალი მდგომარეობით ისარგებლებდნენ და მიეშველებოდნენ თავისუფალ კავკასიას, მაგრამ სწორედ წინააღმდეგი მოხდა! ენვერ ფაშის ლაშქარმა მიატოვა მესოპოტამიის ფრონტი, შეიჭრა კავკასიაში, მიითვისა სომხეთი, აზერბეიჯანი, მთელი მუსულმანური ნაწილი საქართველოსა და ბოლოს, გერმანელების მიერ შეჩერებულ იქმნა ქრისტიანულ საქართველოს კარებზე. ამ შეტევის რეზულტატი გახლდათ კავკასიის ფედერაციის დარღვევა და ამ სამ ერთა თავ თავიანთი ბედის ამარა დაგდება“.

ვინც რომ კავკასიის მოვლენებში კარგად ჩაკვირვებულა, კარგად უწყის, რომ ენვერის ჯარების შემოსევა არაფერ შუაში არ იყო კავკასიის ფედერაციის დარღვევაში. ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა სათათრეთს მიაკუთვნა ქართული მიწა-წყალი ბათუმამდე (ბათუმის შიგ ჩარიცხვით). მართალია ამ უსამართლობის წინააღმდეგ ქართველმა ხალხმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ ეს ფაქტი მართლა მოხდა. მერე ხომ თათრები შეჩერებულ იქმნენ გერმანელებისაგან. ეს უკანასკნელნი კი ყველა ღონისძიებას ხმარობდნენ, სწორედ კავკასიის ფედერაცია შეენახათ, და თუ ეს არ მოხდა, ეს თათრების ბრალი კი არაა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრძენი მენშევიკების პოლიტიკისა და მათი გაუტანლობისა. ბ-ნ გეგეჭკორს კარგათ უნდა ახსოვდეს თუ რა საკითხი შეიტანა მან მენშევიკების სახელით თბილისის პარლამენტში და რას მოითხოვდა. თუ დაავიწყდა მოვაგონებთ, რომ მოითხოვდა კავკასიის მთავრობიდან და პარლამენტიდან მუსულმანურ ელემენტების მოცილებას, რადგან საეჭვონი არიან მენშევიკურ აზროვნებისათვისო. ამას მოითხოვდნენ მენშევიკები კავკასიის მობინადრეთა უმრავლესობის წინააღმდეგ. ამ მენშევიკურ საზიზღრობამ გამოიწვია მუსულმანთა სამართლიანი აღშფოთება, და აი, ბატონებო, აქ უნდა ვეძებოთ კავკასიის ფედერაციის დარღვევა და არა თათრების ჯარების „შემოსევაში“. მაგრამ ვსთქვათ, რომ ენვერის ჯარები იყვნენ მიზეზი კავკასიის ფედერაციის დარღვევისა. რა შუაშია აქ ქემალ ფაშის ოსმალეთი? მაშინ ხომ ქემალის მოძრაობა ჯერ არ იყო? უფრო მეტს ვიტყვი: ქემალმა რომ ხელთ იგდო ოსმალეთში ხელისუფლება, მაშინვე გაგზავნა ტფილისში თავისი საუკეთესო დიპლომატი, სისხლით კავკასიელი და კავკასიის თავისუფლების მოტრფიალე-მოყვარული, და მენშევიკურ მთავრობას შესთავაზა კავშირი და თანამშრომლობა, სწორედ რუსეთის ხიფათის წინააღმდეგ. და მენშევიკურმა მთავრობამ როგორ მიიღო ეს ქემალის წინადადება? ნოე რამიშვილმა ქართულ პარლამენტში მთავრობის სახელით ოფიციალური პასუხი გასცა: „ქართველ ხალხს



არავითარი საერთო არა აქვს აჯანყებულ გენერალსა და მის ურდო-  
 ბთანო“!! და ამისთანა შეურაცყოფის შემდეგ განა მენშევიკები ქემა-  
 ლისაგან სხვა პოლიტიკას მოელოდნენ თუ არ მტრულად განწყობილს  
 საქართველოსადმი? პატივი და თავის მოყვარეობა, მართალია უცხო  
 ხილია მენშევიკებისათვის, თორემ ხმას ჩაიკმენდენ და ყვირილის მაგი-  
 ერ ნეკზე იკბენდნენ.

„ენვერის რეჟიმი სათათრეთში“, განაგრძობს მემორანდუმი, „გა-  
 მოსცვალა ევროპიულმა და ეროვნულმა რეჟიმმა ქემალ ფაშისამ. მაგ-  
 რამ კავკასიის პოლიტიკა იგივე დარჩა. 1920 წელს, ანკარის ემისრების  
 ძალდატანებით, აზერბეიჯანმა კარები გაუღო მოსკოვის ბოლშევიკურ  
 ჯარებს; ეროვნულმა მთავრობამ ხელის გაუნძრევლად დაუთმო ხელ-  
 ისუფლება მოსკოვის ემისრებს, და ამნაირად რუსეთი ხელმეორედ გახ-  
 და პირდაპირი მოსაზღვრე სპარსეთ-სათათრეთისა. აზერბეიჯანის და-  
 ცემამ გადასწყვიტა აგრეთვე დანარჩენ რესპუბლიკების ბედ- ილბალი-  
 ცო“. ვსთქვათ რომ ყველა ეს მართალია. განგებამ იმავე წელს არგუნა  
 საქართველოს დიდი ხვედრი და შემთხვევა, ეს ვითომდა ქემალის სათა-  
 თრეთის მიერ ჩადენილი შეცდომა გამოესწორებინა და კავკასია ბოლ-  
 შევიკურ საფრთხიდან დაეხსნა. ხომ 1920 წელში იყო, რომ ბოლშევი-  
 კები პირველად დაესხენ საქართველოს თავზე. მაშინ ქართველთა ჯა-  
 რმა ბრწყინვალედ დაამარცხა წითლები და გამარჯვებული ცხვრებსა-  
 ვით ირეკავდა წინ ბოლშევიკურ ურდოებს უკვე აზერბეიჯანის მიწა  
 წყალზე. ამავე დროს განჯაში და სხვაგან აზერბეიჯანელები აუჯანყ-  
 დნენ წითლებს და მოელოდნენ ქართველთა შველას. რისთვის გასცა ნ.  
 ჟორდანიამ, ამ კავკასიისათვის საბედისწერო მომენტში, ბრძანება, გა-  
 მარჯვებული ჯარები დაებრუნებიათ საქართველოს საზღვრებში? ეს  
 ხომ აშკარა ვნება იყო არამც თუ საქართველოსი, არამედ მთელი კავ-  
 კასიისა? განგება ერთ და იგივე ბედს ორჯერ არავის უგზავნის, და სა-  
 ქართველომ 1921-ს იწვნია ის ბედი, რაც 1920-ს აზერბეიჯანს გადახ-  
 და. მენშევიკურმა ვერაგობამ და სიბრმავემ დაჰლუპა საქართველო და  
 კავკასიაც. მაშინ ქემალის სათათრეთი საქართველოს არ გადაჰლობე-  
 ბია და არ დამუქრებია შესევით. ამისთანა უშვერი ცილისწამება მხო-  
 ლოდ მენშევიკებს თუ შეეძლოთ, თორემ ჭკვიანი ადამიანი ჯერ თავის  
 ქოხის წინ დაჰგვიდა, სანამ სხვის ქოხს დაიწუნებდა.

„1921 წლის თებერვალში — განაგრძობს მემორანდუმი — მოსკო-  
 ვის ჯარები შემოესიენ აზერბეიჯანით საქართველოს. ამ ტრალიკულ  
 მომენტში, 23 თებერვალს, მთავრობამ მოულოდნელად მიიღო ანკარი-  
 საგან ულტიმატუმი, დაეცალა ართვინის და არტაანის მაზრები და პა-  
 სუხის მოუცდელად, თათრის ჯარები შეესიენ ამ მხარეებს. საქართვე-  
 ლომ პროტესტი განაცხადა სათათრეთთან და ბრძანება მისცა თავის მო-  
 საზღვრე ერთეულებს, შიგნითკენ დაეხიათ, ამითი გათამამებულმა სა-  
 თათრეთმა შეინავარდა ბთუმის მზრაში, და იმ დროს, როდესაც ქარ-  
 თველი ჯარი თბილისს სცლიდა და დასავლეთ საქართველოსაკენ იხევ-  
 და, რომ აქედან დაეწყო რუსების წინააღმდეგ თავისი მოქმედება, თა-




თრები დაეცნენ მას ზურგში, შეესიენ ბათუმს და გამოაცხადეს ეს მხარე სათათროთთან შეერთებულად. ქართველი ჯარი იძულებული იყო მიშველებოდა ამ ქალაქს; მან განდევნა მტერი და ამნაირად ეს მხარე შეუნარჩუნა ქართველ ხალხს“ო.

ვის არ გააკვირვებს ეს ახალნაირი სალამურის ხმები?!? ისტორიის გაყალბებაც ამნაირი უნდა! ბევრი ხანი არაა, რაც ჩვენმა პატივცემულმა მთავარსარდლმა, გენერალმა კვინიტაძემ, სწორედ ამ საკითხზე დასწერა იანვრის ნომერში („კავკასია“ ნომ.1-8) ვრცელი საპასუხო წერილი ჟორდანიასადმი, სადაც გაგვაცნო მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. პატივცემული ავტორი სხვათა შორის ართვინ-არტაანის შესახებ შემდეგ საგულისხმო სტრიქონებს სწერდა:

„1921 წლის 23 თბერვალს ამ ადგილებში (ე. ი. ართვინ არტაანის რაიონები.) არავითარი ჩვენი ჯარი არა ყოფილა და მაშასადამე ვერავითარ ჯარებს მთავრობა იქიდან ვერ გამოიყვანდა. საჭიროა, რომ მთავრობამ ეს ულტიმატუმი გამოაქვეყნოს. ბ. ი. გვარამაძე, არტაანის ოლქის მაშინდელი უფროსი, ამტკიცებს, რომ მან მიიღო ბრძანება, რათა ოლქი ოსმალეთისათვის ჩაებარებინა და არა დაეცალა. ეს ერთი და იგივე არ არის. მაგრამ ცხადია, რომ თუ კი ოსმალები არტაანს, ართვინს და ბათუმს ძალით დაიჭერდნენ და არა ჩვენი თანხმობით, ისინი გადაუჭრიდენ გზას ამ მთავრობას, რომელიც... ევროპისაკენ იხევდა. (აი, მკითხველო, სად არის თურმე სიმართლე!) აღვნიშნავ, რომ ოსმალების მიერ ამ ულტიმატუმის წამოყენების ამბავს მე, საქართველოს მაშინდელი მთავარსარდალი, ვტყობილობ ხოლოდ მთავრობის ამ „განმარტებდან“, მხოლოდ აქ, პარიზში, 1938 წელს! პირიქით, თბილისთან ბრძოლების დროს ნოე ჟორდანიას მთავრობა ყოველ დღე მარწმუნებდა მე, რომ „დღეს სალამოს“ თუ არა „ხვალ დილას“ ოსმალები ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვლენო და მთავარსარდალს ასეთი დახმარებით აიმედებდა. უცნაურია, როგორ მოხდა, რომ ასეთი არაკეთილმეგობრული აქტის შემდეგ, როგორიც იყო ულტიმატუმი, ადგილი ჰქონდა არამც თუ ბათუმში ოსმალოს ჯარების შესვლის ნების დართვას, არამედ ოსმალეთის წარმომადგენლის ყოფნას ჩვენი მთავრობის წინაშე“ო და სხვ. ამისთანა ბრალდების შემდეგ ისეთი კადნიერი ენით ლაპარაკი, როგორც ამას ჟორდანიას მთავრობა ჰბედავს, მხოლოდ უპასუხისმგებლო ადამიანს თუ შეუძლია! მაგრამ მკითხველო, მთელი ეს საკითხი ჟორდანიას მთავრობის მიერ სულ სხვა მიზნითაა აღძრული. მას არც საქართველო აინტერესებს და არც ქართველი ერი. მისი ერთად ერთი თავის ტკივილი მენშევიკური პარტიაა და მეორე ინტერნაციონალი (დღეს სახალხო ფრონტი!) ამ ფრონტს კი საფრთხე მოელის ფაშისტურ სახელმწიფოებისაგან. თუ ფაშისტებმა გაიმარჯვეს, მაშინ ხომ ჟორდანიას და იმის ხალხს გამოეცალა ყველა ის იმედები, რომლითაც სცოცხლობენ ისინი ემიგრაციაში, რომ ერთხელ ბუკისა და ნალარის კვრით დაბრუნდებიან საქართველოში და აბრძანდებიან ისევ მინისტრების სავარძელზე. თუ ეს სიზმარი არ აუსრულდათ, მაშინ ემიგრაციაში მაინც საფანელი არ შემოაკლდებათ სახალხო ფრონტის წყალობით და ამნაირად თავიანთ დღეებს ტკბილად დაასრულებენ. მაშასადამე ეს სა-





ფრთხე თავიდან უნდა აიცილონ როგორმე, და მიაგნეს ახალ ხრიკს, რომელიც მათ რეპერტუარში ასე ძველია. ეს გზა გახლავთ: ინტრიგა, და ვის წინააღმდეგ? იტალია მძლავრად მიიწევს აღმოსავლეთისაკენ. გერმანია და იაპონია იქ უკვე მაგრად სდგანან. იტალია სცდილობს სათათრეთთან დაახლოებას და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ოსმალეთი თავის ლოიალურ მოქმედებაში და ოსმალეთისადმი მეგობრულ განწყობილებაში დაარწმუნოს. ეს პოლიტიკა რასაკვირველია, ჟორდანიას მთავრობას არ ესიამოვნება! ამიტომ ვითომდა ინტრიგას უწყობს იტალიას, რომ ხელი შეუშალოს იტალია-ოსმალეთის დაახლოებას, და ვის ხარჯზე? რასაკვირველია საქართველოს ზურგზე და ხარჯზე. აქაო და ოსმალეთი საწყალ პატარა ქრისტიანულ საქართველოს ჩაყლაპვას უპირებსო, სწორედ ფაშისტურ სახელმწიფოებს ემუდარებიან, დაგვიხსენით ოსმალის საფრთხიდან და დაგვიბრუნეთ მის მიერ წართმეული ოლქებიო. მაგრამ ამითი რომ ეს ვაჟბატონები ჩვენს ქვეყანას დათვის სამხახურს უწევენ და ოსმალეთი ნამდვილად საქართველოს მტრის ბანაკისაკენ მიჰყავთ, ამაზე არ ფიქრობენ და არც კი ენაღვლებათ. ახლა ჰკითხეთ ამ ვაჟბატონებს, თუ რას სთავაზობენ საქართველოს მაგიერს, რომ ოსმალეთიც მტრად გადაიკიდოს? ეგების კიდევ ინგლისის დრედნოუტები და ჯარი მზათა ჰყავთ საქართველოს მისაშველებლად, როგორც 1924 წლის აგვისტოს ისინი ქართველ აჯანყებულებს არწმუნებდნენ? ან ვინ იცის ახლა „სახალხო ფრონტი“ ჰპირდება მხარის დაჭერას, როგორც მაშინ მეორე ინტერნაციონალი, რომლის დახმარება იმაში გამოიხატა; რომ ერთა ლიგაში ახალი, უმნიშვნელო ქალაქები დაიწერა, ვითომდა წითლების მხეცობის საწინააღმდეგოდ და ყრილობამ გადაწყვეტილება გამოიტანა: „ურჩევთ რაინდ ქართველ ერს იარაღი დაჰყარონ“ო!

ნოე ჟორდანიას და მის ამყოლებს, როგორც ეტყობა ავანტიურა თავიანთ ცხოვრების მთავარ საგნად გაუხდიათ. მთელი მათი ცხოვრება-მოქმედება განუწყვეტელი ჯაჭვია ამ ავანტიურებისა დღიდან მარქსიზმის დაბადებისა საქართველოში დღევანდლამდის. ამ ავანტიურისტობას შეეწირა ქართველი ერი ორ გზის: 1917—21-ში, და 1924-ს აგვისტოს. ეს მენშევიკური ავანტიურა ძვირად დაუჯდა ქართველ ერს, იგი მას აღარ განიმეორებს თუ გინდ ათასი ჟორდანია წამოდგეს და სასუფეველი შეჰპირდეს ამ ქვეყნად. კმარა ამდენი სიბოროტე და განუწყვეტელი ვნება ქართველი ერისა. დროა საქართველომ თვალები გაახილოს და ამ ჯურის პოლიტიკოსებს ზურგი უქციოს.

საქართველო და ქართველი ერი სავაჭრო საგანი არ გახლავთ! ვისაც სურს მას გულწრფელად ემსახუროს, მან ყველა თავისი პირადი ინტერესები უნდა ანაცვალოს სამშობლოს ინტერესს და ხელი უნდა შეუწყოს საღ ელემენტების თავის მოყრას და ერთი ძლიერი ქართული კერის შექმნას. ამ ქართული კერის მთავარი მოვალეობა და მიზანი უნდა იყოს რეალური პოლიტიკა. ეს რეალური პოლიტიკა კი მოითხოვს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებას და მის მიხედვით თავის მოქმედების ლარის გაყვანას. უგუნური საქციელით ქვეყანა არ აშენდება და არც როდისმე აშენებულა. მაგრამ ვინც ამ რეალურ პოლიტი-



კას უარყოფს და არ ვიცი რა მოსაზრებით ავანტიურას ურჩევს, ის ქართველ ერს წინასწარ დამარცხება და იქნებ საბედისწერო დამარცხებასაც უმზადებს. მენშევიკური მემორანდუმი ამისი მანქანებაა. დროა ქართულმა ემიგრაციამ ამაზედ თვალი აახილოს.

ვასილ სადათიერაშვილი

### „საპროტესტო რეზოლუციები“

ბოლოს ჩვენამდეც მოახწია პარიზის „საერთო კრების აღშფოთების“ ტალღებმა ჟურნალ „კავკასიის“ პოზიციის გამო.

ჯერ კერძო წერილები მოდიოდა განუწყვეტლივ, სადაც საქართველოს ღალატზე და გაყიდვაზე იდო გოდება. შემდეგ აქ ჩამოვიდა ბ. ალ. ასათიანი სპეციალური მიზნით, რომ როგორმე გამოეტანათ ერთხმად საპროტესტო რეზოლუცია ჟურ. „კავკაზის“ და მისი თანამშრომლების მოღვაწეობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ღირსეულად ჩაშლილ იქმნა აქაური პროვინციული გაერთიანების მიერ. ამას მოყვა მენშევიკური პრესა: „დამოუკიდებელი საქართველო“, ბრძოლის ხმა“, „ქართლოსი“, „ახალი ივერია“, ცაგურიას წიგნი და სხვ.

დაინიშნა აქაური ქართველთა ასოციაციის განმეორებითი კრება 4 თებერვლისათვის. გაიმართა მიწერ მოწერა პარიზთან, საიდანაც თხოულობდნენ, რომ ასეთი რეზოლუცია უსათუოდ ყოფილიყო გამოტანილი. ჯარასავით დატრიალდნენ დაქეჩილი პროვოკატორები და ავრცელებდნენ სხვა და სხვა ცილსა და ჟორს ბ. გენ. კვინიტაძის, ზ. ავალიშვილის, ახმეტელის და ამირეჯიბის წინააღმდეგ. შეეცადნენ ჩვენს ეროვნულ გაერთიანებაში უთანხმოების ჩამოგდებას, მაგრამ ამაოდ. დასასრულს აქაურ მენშევიკებს სულზე მოუწსრო ჟურ. „სამშობლო“მ და სანდრო მანველიშვილის „საქართველოს იმპერიამ“, შიგადაშიგ სანდრო მენაღარიშვილის და გრიშა ურატაძის ბრძნული აზრების ჩართვით (ამის შესახებ სხვა დროს).

ასეთი მზადების შემდეგ მართლაც გაიმართა 4 თებერვალს აქაურ ქართველთა ბიბლიოთეკის დარბაზში საერთო კრება, სადაც პირის-პირ წარდგა ორი ფრონტი: მენშევიკური და ნაციონალური, რომელთაც მსჯავრი უნდა დაედოთ „საქართველოს გამყიდველთათვის“. პარიზში გამოტანილ მოხსენების შესახებ მოხსენება გააკეთა ასოციაციის თავმჯდომარემ ბ. ბაქრაძემ, მაგრამ ვერ გაბედა აშკარად წამოეყენებინა „კავკაზის“ მიმართ ბრალდებები და დაკმაყოფილდა ზოგადი ფრაზებით ეროვნული თავმოყვარეობა, აუცილებლობა ტერიტორიალურ მთლიანობის, ერის წინაშე პასუხისმგებლობა და სხვ. სრულიად გაჰქრა მისი ლექსიკონიდან ბათომის დათმობა, ღალატი, გაყიდვა და სხვ.

ჟურნალ „კავკაზის“ პოზიციის დამცველად გამოვიდა ბ. ს. ჭირაქაძე. მან აღნიშნა თუ რად დააყენა ჟერ. „კავკაზმა“ ისეთი მწვავე საკითხი, როგორც არის საზღვრების საკითხი. საერთაშორისო სიტუაციის გამო მოახლოებულია კავკასიის ერების განთავისუფლება, საჭიროა ამ დიად მომენტს შემზადებული და შეთანხმებული შევხვდეთ. კავკასიის ერებს შორის ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მის მახლობელ მეზობლებს შორის, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ეხლავე, წინასწარ



ვიყვეთ შეთანხმებული სწორედ საზღვრების შესახებ, ვინაიდან ჩვენს ახლო წარსულში ამან გააძნელა დამოუკიდებლად არსებობა და გაამწვავა ჩვენ შორის მეზობლური ურთიერთობა და ხელი შეუწყო ჩვენი სახელმწიფოებრივობის მოსპობას.

ამ მტკივნეულ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენს დასაყრდენ ბაზათ უნდა გავიხადოთ რეალური მდგომარეობა, უკანასკნელად შექმნილი ვითარება და არა ისტორიული მოსაზრებანი და საბუთები, რომელიც საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით არ მართლდება. ასეთ საერთაშორისო სამართლის აკტათ უნდა მივიჩნიოთ 1922 წლის ყარსის ხელშეკრულება, რომელმაც მოაწესრიგა საზღვრების საკითხი საბჭოთა კავშირსა და თურქეთის შორის, თუნდაც ჩვენს საზიანოთ. მართალია, ჩვენ არ ვცნობთ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში და არც მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებას ვადასტურებთ, მაგრამ არსებითად ეს არაფერს არ სცვლის. სახელმწიფოებმა ჩვენი დე-იურეთ ცნობა უკან წაიღეს, იცვენეს საბჭოთა ხელისუფლება და რასაკვირველია მისი ხელშეკრულებებიც საზღვრების შესახებაც. ამან სრულიად ახალი იურიდიული მდგომარეობა შეუქმნა ეხლანდელ და მომავალ თავისუფალ საქართველოს. საღი ეროვნული და რეალური პოლიტიკა გვიკარნახებს ამ ფაქტიდან გამოვიდეთ და არა ისტორიულ წარსულიდან.

დასასრულს, ბ. ჭირაქაძეს, სავსებით სწორად და გამართლებულად მიაჩნია ჟურ. „კავკაზის“ რედაქტორ ბ. ჰაიდარ ბამატის და მისი ქართველი თანამშრომლების აღებული გეზი კავკასიის ერების განთავისუფლების საქმეში. დიდი სახელმწიფოების დახმარება, მეზობელ თურქეთის და ირანის მეგობრობა, კავკასიის ერების თანხმობა, აი, მტკიცე დასაყრდენი ჩვენი ეროვნული მიზნის მისაღწევად. ასე დაასრულა თავისი სიტყვა ბ-ნმა ჭირაქაძემ და მოუწოდა ყველას წინააღმდეგ ხმა მიეცა პარიზში გამოტანილ მეტად მდაბალი ხარისხის რეზოლუციას, სადაც მოლაღატეთ და გამყიდველად არის გამოცხადებული ქართველი პატრიოტების მთელი წყება.

„კავკაზის“ ს პოზიციის დასაცავად ილაპარაკეს კიდევ ბ.ბ. მ. ჟღენტმა, შ. ბერეჟიანმა და ნ. წაწალაშვილმა.

კამათის გათავების შემდეგ ბ. ჟორდანიას მომხრეების მიერ წარმოდგენილ იქმნა კრების მიერ დასამტკიცებლად პარიზის რეზოლუცია ახედ უფრო მყარალი რეზოლუცია. ეროვნული გაერთიანების და ბ. არსენიძეს მომხრეების მიერ ის უარყოფილ იქნა. დარჩა დასადასტურებლათ პარიზში გამოტანილი რეზოლუცია. ეს რეზოლუცია მიღებულ იქმნა 19 ხმით, 12 წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ რეზოლუციისათვის არც ერთ ნაციონალისტს ხმა არ მიუცია, ის გავიდა მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკების ხმით. სამწუხაროდ, ავადმყოფობის და სხვა მიზეზების გამო ყველა ჩვენმა მეგობრებმა ვერ შესძლეს კრებას დასწრებოდნენ, თორემ ხმების მიცემის მიმართება სულ სხვა ხასიათს მიღებდა, და ადვილად შევძლებდით ბ. ბერეჟიანის რეზოლუციის მიღებას, რომელიც ჩვენს განწყობილებას სავსებით გამოხატავდა. მაშინ სხვა გუნებაზე დადგებოდნენ აქაური და პარიზის საპროტესტო კრებების მომწყობნი.

დამსწრე